F 171
1947

უფასო
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა

# კრებული

წლიწადი მეათე

| № 1 | Сборник приказов и Распоряжений Министерства Просвещения Грузинской ССР | 1947 წ. |
|---|---|---|

## შინაარსი

გვ.

1. ბრძანება № 2719—აფხაზეთის ასსრ სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 2
2. ბრძანება № 2710—სამხრეთ-ოსეთის ა/ო სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 24
3. მიმართვა—ქუთაისის ს. ხ. განათლების რაიგანყოფილების გამგეს რაიონის სკოლების გამოკვლევის შესახებ . . . . . . . 36
4. დებულება—მესამე რესპუბლიკური დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . 43

F 976

თბილისი 1947

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2719

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

**1946 წლის „25“ დეკემბერი**

## აფხაზეთის ასსრ სკოლების გამოკვლევის შედეგების შესახებ

გავეცანი.რა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლების გამოკვლევის შედეგებს აღვნიშნავ, რომ აფხაზეთის ასსრ სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში თვალსაჩინო მიღწევები გააჩნიათ:

სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია საგნის მცოდნე კვალიფიციური მასწავლებლებით. აფხაზეთის ასსრ მასწავლებლობის უმრავლესობას კარგად აქვს შეგნებული სკოლის წინაშე მდგარი ამოცანები, ენერგიულად მუშაობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად, მომზადებულად და გეგმიანად ატარებს გაკვეთილებს, სწავლების პროცესში ყურადღებას ამახვილებს აღმზრდელობით საკითხებზე და სწავლა-აღზრდის საქმეში კარგ შედეგებს აღწევს. სკოლების დიდ უმრავლესობაში მოსწავლეთა ყოველდღიური დასწრება გაკვეთილებზე დამაკმაყოფილებელია. ჯეროვანი ყურადღება ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეს. მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული სასკოლო შენობების კეთილმოწყობისა და სკოლების დგამ-ავეჯით უზრუნველყოფისათვის.

წარმატებით მიმდინარეობს ახალი სასკოლო შენობის მშენებლობა ქ. ოჩამჩირეში და ჭუბურის-ხინჯში, გალის რაიონში სოფ. ქვემო-ბარღების კოლმეურნეობის ინიციატივით აგებულია საშუალო სკოლის 18 ოთახიანი კარგი შენობა. აფხაზეთის სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია სათბობით, ქ. სოხუმის სკოლებში 1 სექტემბრისათვის უკვე მიზიდული იყო შეშა მთელი ზამთრის სეზონისათვის.

ცალკე საგნების სწავლების დარგში არსებობს ერთგვარი წარმატებები, მაგრამ ამასთან ერთად ჯერ კიდევ ადგილი აქვს თვალსაჩინო ნაკლოვანებებს:

## 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში:

მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით რაიონის ცენტრებში, კარგად არის მომარაგებული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით—რვეულებით, კალმებით, ფანქრებით.

მეცადინეობა მიმდინარეობს გეგმიანად, ოფიციალური პროგრამებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული მითითებების შესაბამისად; ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში ადგილი აქვს შემდეგ ნაკლოვანებებს:

ა) ზოგიერთ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონე, რაც იმის შედეგია, რომ წერითი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ტარდება.

ასე, მაგ. ოჩამჩირის საშუალო სკოლის XI კლასში სექტემბრიდან დღემდე წერა ჩატარებულია მხოლოდ სამჯერ. ნაწერებში ხშირად გვხვდება გაუმართავი, უაზრო წინადადებები, მაგალ., „ის ბუნებას იყენებდა არა სუბიექტური მიზნებისათვის, როგორც რომანტიკოსი მწერლები, არამედ ობიექტურისათვის“, „ასეთ პირს, როგორც არის გაგი, ეროვნებით ქართველს, ავტორი გვიხატავს გამოყოფით მხარედ“. გალის, I საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეების ნაწერებში ასეთი შეცდომები გვხვდება: „ბარათაშვილის თვისებებს ახასიათებდა ის თვისებები, რაც ახასიათებდა სხვა რომანტიკოსებს“, „ამ პესიმისტური განწყობილებაა საფუძვლად ფეოდალური კლასის სოციალური საფუძვლები“. მცირე რაოდენობით არის ჩატარებული წერითი მუშაობა წითელ ბესლეთის (სოხუმის რ.) საშუალო სკოლის VII კლასში.

ზოგიერთი მასწავლებელი გულდასმით არ ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს.—გალის I საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეთა ნაწერებში შეუმჩნეველია ასეთი შეცდომები: „გადანსანსლა“, „სახელგათქმული“, „წინ შეხეჩა“ და სხვა. არ ხდება დაშვებულ შეცდომათა ანალიზი—ტიპიურ შეცდომათა ახსნა-განმარტება; გალის I საშუალო სკოლის IV კლასში მოსწავლეები, როგორც წესი, დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებენ; ბესლეთის საშუალო სკოლის VII კლასში-კი, პირიქით, წერით ნამუშევარში დაშვებული 1—2 შეცდომის გამო მოსწავლეებს თხოვენ ხელახლად გადაწერონ მთელი წერითი ნამუშევარი.

I—IV კლასებში არ ექცევა სათანადო ყურადღება სუფთა წერას; არ ტარდება ვარჯიში ლამაზი, გარკვეული ხელის გამოსამუშა-

ვებლად. აჩიგვარის საშუალო სკოლის პირველი პარალელური კლასის მასწავლებელი ერთნაირი განზომილებით აწერინებ მოსწავლეებს ასომგერებს თ, ძ, უ-ხ, ასევე წერენ სოხუმის II ვაჟთა, ბესლეთის საშუალო და ზოგი სხვა სკოლების I—IV კლასების მოსწავლეები;

ბ) ზოგ სკოლაში არა დამაკმაყოფილებელ დონეზეა კითხვის ტექნიკა ოჩამჩირის საშუალო სკოლის III კლასში მოსწავლეთა უმრავლესობა ჩათვლით კითხულობს („ნა-ნა-ვი, კლუ-კლუბის. ე-ზო-ეზო-ში, ციხ ციხ იდან“ და სხვ.) ერთერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო სახელმძღვანელოდან ამოეკითხა სიტყვები: „რევოლუციონერი“ „შვეიცარია“; ზოგიერთი მოსწავლე კითხულობს ცალკე სიტყვებს, წინადადების აზრს ვერ წვდება, რის გამო წაკითხულის შინაარსს ვერ გებულობს და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა უძნელდება;

გ) ზოგიერთ სკოლაში არასწორად არის დაყენებული ქართული ენის გრამატიკის სწავლება. ოჩამჩირის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა ქართული ენის გრამატიკაში თეორიული მასალა ზედმიწევნით კარგად იციან, მაგრამ იმის გამო, რომ არ ტარდება სისტემატური ვარჯიში, მათ ვერ შესძლეს წინადადების შედგენა, სადაც ნაცვალ სახელი „მე“ იქნებოდა სახელობითს. მოთხრობითს ან მიცემითს ბრუნვაში, ბესლეთის საშუალო სკოლის VII კლასში მოსწავლეებს უძნელდებათ პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი საკითხების გარკვევა, ამავე კლასებში არ ექცევა სათანადო ყურადღება პოეტიკის საკითხების შესწავლას;

დ) I—IV კლასებში სუსტად მიმდინარეობს მუშაობა სწორი, ჩამოყალიბებული ენით თხრობის კულტურის გამოსამუშავებლად. მოსწავლეთა საკმაოდ დიდ ნაწილს არ შესწევს უნარი გააზრებულად, საკუთარი ენით, მოუთხროს მასწავლებელს შესწავლილი მასალის შინაარსი და იძულებულია გაზეპირებას მიმართოს.

## 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში:

აფხაზეთის ასსრ სკოლები რუსულ ენასა და ლიტერატურაში ძირითადად უზრუნველყოფილნი არიან მცოდნე და კვალიფიციური მასწავლებლებით. ამ საგნის სწავლება გეგმიანად მიმდინარეობს. წლიური კალენდარული გეგმა აქვს ყველა მასწავლებელს ისინი გაკვეთილებს წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე ატარებენ. სკოლების უმეტესობაში წერითი ნამუშევრები ცალკე კლასების მიხედვით, საკმაო რაოდენობით არის ჩატარებული. სავსებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ნამუშევრების სახეების მხრივაც. სა-

თანადო ყურადღება ექცევა ნამუშევრების გასწორებასა და შეფა-სებას.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში კარგად არიან მომზადებუ-ლი სოხუმის ქალთა I საშ. სკოლის მოსწავლეები, დამაკმაყოფილებ-ლად იციან გავლილი მასალა ოჩამჩირისა და სოფ. ლესელიძის (გაგრის რაიონი) ქართული საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავ-ლეებმა.

მიუხედავად ამისა, ამ საგნის სწავლებას ჯერ კიდევ საკმაო ნაკლი ახასიათებს:

ა) ქ. სოხუმის სკოლებში და აგრეთვე ოჩამჩირის ქართულ სკო-ლაში IX—XI კლასების წლიური კალენდარული გეგმები არ არის შედგენილი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითე-ბის საფუძველზე. გეგმებში ისეთი ნაწარმოებებიც არის შეტანილი, რომელნიც არსებულ სახელმძღვანელოებში არ მოიპოვება;

ბ) ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის II კლასის მოსწავ-ლეთა ნაწილმა არასაკმაო სიმტკიცით იცის გავლილი მასალა. ვერ კითხულობენ ასოებს და სიტყვებს;

ლესელიძის ქართული სკოლის მეორე კლასის 21 მოსწავლიდან მხოლოდ 11 მოსწავლეს ჰქონდა სახელმძღვანელო;

გ) არასაკმაო ყურადღებით ასწორებენ წერით ნამუშევრებს ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებლები ლაბახუა და ხოჯავა. ასე, მაგ., V კლასში ერთ-ერთ მოსწავლის ნამუშევარში მასწავლებელ ლაბახუას არ გაუსწორებია „этова“, „услишиал“, „ружев“, და სხვ. ასეთივე მდგომარეობაა VI–VIII კლ. მოსწავ-ლეთა ნაშრომებში (მასწ. ხოჯავა) და ოჩამჩირის პედაგოგიურ სას-წავლებელში (მასწ. კორტავა). ამას გარდა მასწავლებელი ხოჯავა წერითი სამუშაოს ერთ სახეს—კითხვებზე პასუხს არასწორად ატა-რებს; კითხვები და პასუხები ერთმანეთს ენაცვლებიან, რის შედეგად მოსწავლეებს არ რჩებათ შთაბეჭდილება მოთხრობის შინაარსის მთლიანობის შესახებ;

დ) ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები არ ინახება სკოლაში; ასე, მაგ. სოფ. ლესელიძის ქართულ საშუალო სკოლაში 27/XI არ აღმოჩნდა III, IV, V, VII და VIII კლასების წერითი ნამუშევრები (მასწ. კოვალსკი);

ე) არასაკმაო რაოდენობით არის ჩატარებული წერითი სამუ-შაოები სოფ. ლესელიძის რუსულ საშუალო სკოლაში; ამ სკოლაში წერითი სამუშაოების ჩატარებას და გასწორებას არ ათარიღებენ;

ვ) არ არის სწორად მოწესრიგებული გამეორება სოხუმის I ვაჟთა სკოლის XI კლასში. ა/წ 19 ნოემბერს კლასს ერთდროულად მიეცა გასამეორებლად „Мцыри“ და „Беглец“. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, მოსწავლეებს აღარ ეძლევათ საშუალება პროგრამული მასალა საფუძვლიანად გაიმეორონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 3. მათემატიკურ დისციპლინებსა და ფიზიკაში:

იმ საერთოდ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან ერთად, რაც მათემატიკური დისციპლინების სწავლებას ახასიათებს, აფხაზეთის ასსრ სკოლებში ადგილი აქვს აგრეთვე მნიშვნელოვან ჩამორჩენასაც. გალის ვაჟთა I საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლენი უცოდინარობას იჩენენ ფიზიკაში, მათ არ იციან, როგორც მიმდინარე წლის, აგრეთვე გასული წლის მასალა და კლასი სრულიად მოუმზადებელია სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარებისათვის. ამავე სკოლის VIII კლასის მოსწავლეთა ცოდნა გეომეტრიაშიც არადამაკმაყოფილებელია. საერთოდ ამ სკოლაში მოსწავლენი არ არიან ჩაბმული მუშაობაში, მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლეთა მუშაობას კლასში. გაკვეთილის პროცესში, არც საშინაო დავალებების შესრულებას ამოწმებს.

ასევე დაბალია აჩიგვარის ქართული საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა ცოდნა ალგებრაში კლასი სიმწიფის ატესტატზე გამოცდებისათვის აშკარად მოუმზადებელია.

რვაწლიანი და საშუალო სკოლების უმეტესი ნაწილის მოსწავლეთა ცოდნა ფიზიკაში ფორმალური და არამტკიცეა, რაც იმით აიხსნება, რომ სკოლები სასწავლო კაბინეტებით სუსტად არიან უზრუნველყოფილი და იმ ხელსაწყოთა გამოყენებაც არ ხდება, რაც მათ გააჩნიათ.

### 4. სამოქალაქო ისტორიაში:

მრავალ სკოლას (ქ. სოხუმის ვაჟთა I, გაგრის რუსული საშუალო სკოლა, ლესელიძის ქართული საშუალო სკოლა, ოჩამჩირის რუსული საშუალო სკოლა, ოჩამჩირის პედაგოგიურ სასწავლებელი და სხვა სკოლები)—გააჩნია სწორად შედგენილი წლიური კალენდარული გეგმები ისტორიაში, მასწავლებლები სისტემატურად ემზადებიან გაკვეთილისათვის, აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობამ დამაკმაყოფილებლად იცის ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ქრონოლოგია, სწორად ახასიათებს ისტორიულ პირებს,

შეგნებული და გააზრებული აქვს ისტორიულ მოვლენათა შორის მიზეზობრივ-შედეგობრივი ურთიერთობა.

ასე, მაგალითად, გაგრის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მასწავლებელი მ. ი. პოპოვი) საფუძვლიანად იციან გავლილი მასალა. კლასს გასამეორებლად მიცემული ჰქონდა „დირექტორიის ხანა". მოსწავლეები გაკვეთილს ჰყვებოდნენ არა შაბლონურად, წიგნის ტექსტის მიხედვით, არამედ მასწავლებლის მიერ მიცემული გეგმის საფუძველზე, შეგნებულად გამოჰყოფდნენ ძირითად საკითხებს. მათ კარგად იციან საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია. ისინი თანამიმდევრობით გადმოსცემდნენ გლეხთა მდგომარეობის თანდათანობით ცვალებადობას უძველეს დროიდან მე-19 საუკუნემდე (სმერდების დაკაბალებას, იურის დღეს, 1497 წლის კანონს, საბოლოო მიმაგრებას და სხვ.), სწორად ახასიათებდნენ გლეხთა მოძრაობების დამახასიათებელ ნიშნებს; ასევე სწორად, ამომწურავად და გააზრებულად არჩევდნენ კურსიდან მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა პეტრე 1-დან, ჩვენი ქვეყნის ხალხთა გმირული ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, კიევის სახელმწიფოს წარმოშობა და სხვა. კლასის ეს წარმატება აიხსნება მასწავლებელ პოპოვის გეგმიანი, მოფიქრებული და ბეჯითი მუშაობით, სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებით.

ასევე კარგად მუშაობს ოჩამჩირის რუსული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი პ. ი. კიკორია. მისი გაკვეთილები ორგანიზებულია, კარგად იყენებს როგორც კედლის ისტორიულ რუკებს, აგრეთვე წიგნში მოცემულ რუკებს და ილუსტრაციებს. მე-9 კლასში მოსწავლეები თანამიმდევრობით და ამომწურავად გადმოსცემდნენ წინა გაკვეთილს „კავკასიის დაპყრობა და მთიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის". ფაქტებს და მოვლენებს სწორ ანალიზს უკეთებდნენ. მეტყველებდნენ სწორი, გამართული ენით. კარგად იციან მოსწავლეებმა გავლილი მასალაც. მათ სწორად დაახასიათეს პეტრე I საშინაო პოლიტიკური რეფორმები მმართველობის დარგში, აღნიშნეს ძირითადი მოტივები პეტრეს საგარეო პოლიტიკისა; გაარკვიეს თუ რამ გამოიწვია შვედეთთან ომი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის ბალტიის ზღვის სანაპიროებს. მოიგონეს ამ სანაპიროებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი ისტორია. მასწავლებელი კლასის მიმართ დასმულ კითხვებით მოითხოვს არა მარტო ფაქტების დასახელებას და აღწერას, არამედ მათ შორის დამოკიდებულე-

ბის გარკვევას (რატომ, რა მიზეზით, რა შედეგი მოჰყვა და სხვა). ახალი გაკვეთილის მასალა—„ნიკოლოზ I საგარეო პოლიტიკა“ მასწავლებელმა მოფიქრებულად, მეცნიერულად სწორად და პედაგოგიური თვალსაზრისით მიმზიდველად გადასცა. დასაბუთებულად ლაპარაკობდა რუსეთისათვის სრუტეების მნიშვნელობის შესახებ. ამ საკითხში ინგლისის ტრადიციული პოლიტიკის შესახებ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქ. სოხუმის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლები გუბანოვა და ციკოლია.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, მრავალ სკოლას და ისტორიის მასწავლებლის მუშაობას ჯერ კიდევ საგრძნობი ნაკლოვანებები ახასიათებს. ზოგიერთ მასწავლებელს სრულებით არ გააჩნია გეგმა (გაგრის ქართულ რვაწლიანი სკოლა), ბევრგან წლიური კალენდარული გეგმები ისტორიაში სწორად არ არის შედგენილი. ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის V—VII კლასების გეგმაში სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საათების რაოდენობა არ არის დაცული, არეულია თემების თანმიმდევრობაც (მასწ. შამათავა), მაგ., VII კლასში ცალკე თემად არის გამოყოფილი „ევროპა XI—XV ს. ს.“ და მას დათმობილი აქვს 4 საათი, მაშინ როდესაც ასეთი ცალკე თემა პროგრამით გათვალისწინებული არ არის. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებით გამეორებისათვის წლის ბოლოს 33 საათი იყო გათვალისწინებული, მასწავლებლის გეგმაში მხოლოდ 18 საათია გამოყოფილი და თანაც არ არის აღნიშნული, თუ რა უნდა გაიმეორონ. ზოგჯერ გამეორების საათები სრულებით უმართებულოდ არის თემის დამთავრებამდე ჩართული, მაგ. თემა „ძველი საბერძნეთი“ გაყოფილია შუაზე. ასევეა თემა—„მონათა და თავისუფალ ღატაკთა აჯანყება“. მასწავლებელს აქ საფუძვლად ნიღლია არა თემატური, არამედ მეოთხედური პრინციპი. თემების სახელწოდება და ცალკე თემებისათვის გათვალისწინებული საათების რაოდენობა არ შეეფერება პროგრამის მოთხოვნილებას. VIII კლასში ახალი ისტორიის პროგრამა სულ მთლიანად არეულია. გეგმაში შეტანილია მხოლოდ 4 თემა, დანარჩენი—8 გამოტოვებულია, წლის ბოლოს გამეორებისათვის დატოვებულია 38 საათი, პროგრამა კი მხოლოდ 12 საათს ითვალისწინებს.

მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ამავე სკოლის VIII—IX—X—XI კლასების გეგმებში (მასწ. დარსანია). გაგრის ქართულ რვაწლიან სკოლას სრულებით არ გააჩნია კალენდარული გეგმა ისტორიაში. VIII კლასის ჟურნალის მიხედვით-კი ირკვევა, რომ ამ კლასში წლის დასაწყისში ახალ ისტორიას ასწავლიდნენ, 14/X-დან

კი დაუწყიათ სსრ კავშირის ისტორიის შესწავლა. ლესელიძის ქართულ საშუალო სკოლაში (მასწ. შ. ნადარეიშვილი) XI კლასის გამეორების პროგრამაში X კლასის კურსი მთლიანად გამოტოვებულია. ქ. სოხუმის მე-2 ვაჟთა საშ. სკოლის IV კლასის გეგმა ისტორიაში მხოლოდ I მეოთხედისათვისაა შედგენილი, თანაც თემებს შორის დრო არათანაბრადაა განაწილებული. მაგ. ქვეყნის ბუნების შესწავლას ეთმობა ერთი საათი მაშინ, როდესაც თათართა მიერ რუსთა მიწების დაპყრობას და თათართა ბატონობასაც ერთი საათი აქვს გამოყოფილი. ამავე სკოლაში კალენდარულ გეგმაში ზედმეტი გრაფაც არის გათვალისწინებული—„გეგმის მეთოდური დამუშავება“. ლიტერატურა და სახელმძღვანელოებიც ზუსტად არ არის ნაჩვენები, მაგ. წერია: „ლენინის და სტალინის ნაწარმოებები“, „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები“ და სხვ. ლესელიძის (გაგრის რაიონი) რუსულ საშუალო სკოლაში (მასწავლებელი, იგივე დირექტორი—პასკო) ზოგი კლასის გეგმა შედგენილია მხოლოდ წლის პირველ ნახევრისათვის, ზოგის I მეოთხედისათვის, ახალი ისტორია VIII კლასში იწყება მარქსით და ენგელსით, V – VII კლასიების გეგმები კი სრულებით არ აღმოჩნდა.

ზოგიერთი მასწავლებლის იდეურ-პოლიტიკური მომზადების დაბალი დონით, საგნის სუსტი ცოდნით, სახელმძღვანელო დოკუმენტების უგულებელყოფით და გაკვეთილებისათვის მოუმზადებლობით აიხსნება მათი გაკვეთილების დაბალი ხარისხი, მოსწავლეთა ცოდნის სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგ. სოფ. ლესელიძის საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. ნადარეიშვილი გაკვეთილის—„1812 წლის სამამულო ომი“-ს გადაცემისას დაკმაყოფილდა მხოლოდ ზოგადი ფრაზებით. თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი არ დაუსახელებია, სრულებით გამოტოვა პარტიზანული ბრძოლა და მისი ხელმძღვანელები. არ სწორდებოდა დამახინჯებული სიტყვები—„ბარკალი დეტალი“ (ბარკლაი დე ტოლის ნაცვლად), „ბერეზენი“ (ბერეზინას ნაცვლად), ფაქტიური შეცდომა: „ყველაზე დიდი დამარცხება ნაპოლეონმა განიცადა მდ. ნევაზე“, „მოსკოვს ნაპოლეონმა ცეცხლი წაუკიდა“ და სხვა. იყო მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომაც. აღნიშნული იყო, რომ ყინვამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ფრანგების დამარცხებაში.

ასევე სუსტი იყო ისტორიის გაკვეთილები ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის (მასწავ. დ. შამათავა) მე-5 და მე-6 კლასებში. მოსწავლეთა ცოდნა ამ კლასებში მეტად დაბალია.

არ იყო დამაჯერებელი და თანმიმდევარი ისტორიის გაკვეთილი ამავე სკოლის X კლასში (მასწავლ.—დირექტორი დარსანია). მასწავლებლის თხრობის ზოგიერთი ადგილი ძალზე ბუნდოვანი იყო, მაგ. „მეფის მთავრობას სურდა ნაციონალური რესპუბლიკების მოსპო", „მეფეს სურდა განეხორციელებინა ერთა ერთიანობა, მთლიანობა, რომ მთელი რუსეთი ჰყოლოდა მობილიზებული, რომელსაც ეწოდება ეგრეთწოდებული მეფის რეაქცია", „მსოფლიო კაცობრიობა" და სხვა.

### 5. ბუნებისმეტყველებაში:

შემოწმებულ სკოლებში მასწავლებელთა უმრავლესობა ცენზითა და გამოცდილებით შეეფერება თავის დანიშნულებას, დაუფლებულია საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. მუშაობის კარგ ნიმუშს იძლევა ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი ელ. ჭურღულია. მასწავლებელს აქვს წლიური კალენდარული და თემატური გეგმები, სისტემატურად ადგენს გაკვეთილის გეგმებს, ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას, სწავლებას უკავშირებს ნაკვეთზე მუშაობას, სანიმუშოდ აქვს დაყენებული ნორჩ ნატურალისტებთან მუშაობა, ატარებს ექსკურსიებს და სხვა.

იგივე უნდა ითქვას გაგრის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებლის ქ. შამუგიას შესახებ. მოსწავლეები იჩენენ გავლილი მასალის კარგ ცოდნას, მასწავლებლის კითხვები გამოირჩევა სიზუსტითა და გარკვეულობით. მოსწავლეებს აქვთ რვეულები, რომლებშიაც გაკვეთილზე დამუშავებული მასალის ფიქსაცია ხდება.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს გაგრის რაიონის სოფ. ლესელიძის რუსული საშუალო სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი ერმაკოვა.

აღსანიშნავია გაგრის რუსული საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების კაბინეტის მდიდარი მოწყობილობა. კაბინეტს უკავია საკმაოდ დიდი ოთახი. კაბინეტში უხვად არის წარმოდგენილი როგორც მზა, ისე თვითნაკეთი ხელსაწყოები, ცოცხალი კუთხის ძოსახლეობა. მისაბაძია ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის მაგალითი (მასწ. ე. ჭურღულია). კაბინეტი აქ ორ კარადაში არის მოთავსებული, მაგრამ არც ერთი ხელსაწყო მზად შეძენილი არ არის. ყველაფერი გაკეთებულია მოსწავლეებისა და ნატურალისტთა მიერ. ამ სკოლას აქვს აგრეთვე სასწავლო ნაკვეთი 200 ძირი მანდარინით და საცდელი კვლებით.

ამის მიუხედავად ბუნებისმეტყველების სწავლების საქმეში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი:

ა) სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი ახალი პროგრამებით, სოხუმის ვაჟთა პირველ ქართულ საშუალო სკოლაში ყოფ. მასწავლებელ ნ. ხვინგიას ბიოლოგიის წლიური კალენდარული გეგმით საგნის თემისათვის განკუთვნილი დრო ზოგჯერ დიდად განსხვავდება პროგრამით ამავე თემისათვის განსაზღვრულ დროსაგან. მაგ., თემა „ჭიების“ დამუშავებას პროგრამით 6 საათი აქვს დათმობილი, მასწავლებლის გეგმით—კი 10 საათი. ფრინველთა კლასის შესასწავლად საჭიროა არანაკლებ 15 საათისა, გათვალისწინებულია 5 საათი. VI კლასისათვის წლის ბოლოს გავლილი მასალის გასამეორებლად პროგრამით გათვალისწინებულია 10 საათი, გეგმაში ეს სრულიად არ არის ასახული, გეგმის წლიური საათების რაოდენობა არ შეესაბამება სასწავლო გეგმით დადგენილ წლიური საათების რაოდენობას.

სრულებით არ აღმოჩნდა გეგმები გაგრის რვაწლიან ქართულ სკოლაში. ჟურნალში ჩანაწერებით გამოირკვა, რომ ადგილი აქვს სასწავლო გეგმისა და პროგრამის მოთხოვნილებათა დარღვევას. მაგ., VIII კლასში ქსოვილების დამუშავების შემდეგ უნდა გაევლოთ ძვალკუნთოვანი სისტემა, შეისწავლეს კი სისხლის მიმოქცევა. VII კლასში ზოოლოგია დაიწყო ფეხსახსრიანებით. ეს თემა VI კლასში არის გავლილი. მე-8 კლასის კურსის გავლა შემოწმების მომენტისათვის ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. VI კლასში მასწავლებელმა მუშაობა დაიწყო ზოოლოგიის კურსის შესწავლით, 21 სექტემბერს გადავიდა მცენარეთა სისტემატიკის შესწავლაზე, მაგრამ სისტემატიკის შესწავლა დაიწყო არა „ყვავილოვანი ოჯახების“ გაცნობით, როგორც ამას პროგრამა მოითხოვს, არამედ სპოროვანი მცენარეებით.

გაგრის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებლის პ. ტკაჩის მიერ შედგენილი დარვინიზმის საფუძვლების წლიური გეგმა უვარგისია. სწორად არ არის განსაზღვრული თემებისათვის დრო, დამუშავების ვადები და სხვ. გეგმიდან ამოგდებულია ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამული თემები, როგორიცაა: „ორგანული სამყაროს შესწავლის ძირითადი მეთოდები“ (10 საათი) და „დარვინიზმისათვის მებრძოლი რუსი მეცნიერები“ (16 საათი).

ამავე სკოლის VI კლასში დარღვეულია ბუნებისმეტყველების სწავლების მთელი სისტემა (მასწ. შილოვა), მასწავლებელი იწყებს მცენარეების შესწავლას, გადადის ცხოველებზე, თემა დამთავრებული არა აქვს და იწყებს არაორგანული ბუნების შესწავლას.

ბ) სრულებით არა აქვთ ბუნებისმეტყველების კაბინეტები და სწავლება სიტყვიერია სოხუმის ვაჟთა პირველ ქართ. საშ. სკოლაში,

სოფ. ლესელიძის ქართულ და რუსულ სკოლებში, გაგრის ქართულ რვაწლიან სკოლაში აქვთ სასწავლო ხელსაწყოები უმნიშვნელო რაოდენობით (მოდელები, ტაბულები, პრეპარატები), [illegible] ისინი წესრიგში მოყვანილი არ არის, ლესელიძის რუსულ და ქართულ სკოლებს მიწის ნაკვეთები აქვთ, მაგრამ ისინი დანიშნულებისამებრ გამოყენებული არ არის;

გ) დასახელებულ მიზეზებისა გამო, მოსწავლეთა ცოდნა მრავალ სკოლაში ძალზე დაბალია. გაგრის ქართული სკოლის V და VI კლასის მოსავლეებმა სწორად ვერ განმარტეს ლობიოს თესლის ჩანასახი, ისინი უჯრედისა და თესლის ნაწილებს ერთიმეორეში ურევენ. VI კლასის მოსწავლეებმა ვერ დაასახელეს სპოროვანი მცენარეების ჯგუფები, არა აქვთ წარმოდგენა სპოროვანთა გამრავლებაზე, წარმოშობაზე და სხვ. გაგრის ქართულ რვაწლიანი სკოლის V კლასისა და ოჩამჩირის IV კლასის მოსწავლეებმა გავლილი მასალის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს.

## 6. გეოგრაფიაში:

გეოგრაფიის ბევრი მასწავლებელი საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონეა, მონდომებით და საგნისადმი სიყვარულით მუშაობს, რის შედეგადაც მათი მოსწავლეების ცოდნა დამაკმაყოფილებელია. ქ. სოხუმის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი ევროპინი, საკმაო ამომწურავად და მოსწავლეთათვის გასაგებად ხსნის გაკვეთილს, მოხერხებულად იყენებს დამატებით მასალას ჟურნალგაზეთებიდან და სწორად აშუქებს ევროპის ქვეყნების ახლანდელ მდგომარეობას. ეხერხება შედარებითი მეთოდის გამოყენება გაკვეთილზე. ამ სკოლის V-VI და IX კლასების მოსწავლეთა ცოდნა დამაკმაყოფილებელია.

კარგად ასწავლის გეოგრაფიას გაგრის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი ო. ვეჩერკო V-VI კლასებში. ის მიმზიდველად მოუთხრობს მოსწავლეებს გაკვეთილს. იყენებს დამხმარე ლიტერატურას, რითაც მოსწავლეებში ამ საგნისადმი ცხოველ ინტერესს იწვევს. გაკვეთილის „დედამიწის სიმრგვალის დამამტკიცებელი საბუთების შესახებ“ გადაცემისას, მასწავლებელმა კლასს დამატებით წაუკითხა მასალა „მაგელანის მოგზაურობა“. მასწავლებელს ეხერხება სწორი, მოფიქრებული და ერთი მეორიდან გამომდინარე კითხვების დასმა. სწორად და ლროულად იყენებს რუკას.

მეცნიერულად სწორად, მიმზიდველად და ამომწურავად ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევს გაკვეთილებს ლესელიძის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი ს. მოროზი. იგი საგნის კარგი მცოდნეა, მუშაობს გულმოდგინედ, მოსწავლეების ცოდნაც დამაკმაყოფილებელია. ასევე კარგად მუშაობს ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ს. პაპავა.

მაგრამ გეოგრაფიის სწავლება მრავალ სკოლაში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არ დგას.

გაგრის ქართული რვაწლიანი სკოლის გარდა, არც ერთ გამორკვეულ სკოლას არა აქვს მიღებული გეოგრაფიის ახალი პროგრამები. მუშაობა სწარმოებს ძველი პროგრამებით და მასწავლებლის მიერ თითოეული თემისათვის ნავარაუდევი საათების რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება ოფიციალური პროგრამებით გათვალისწინებულ საათების რაოდენობას. უგულებელყოფილია საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლება VII კლასში სსსრ განათლების სამინისტროს მითითების საფუძველზე VII კლასში სსრ კავშირის მდებარეობისა, საზღვრებისა და სსრ კავშირის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკის მიმოხილვის შემდეგ (რომელსაც სულ 4 საათი აქვს დათმობილი), მთელი სასწავლო წლის მანძილზე საქართველოს გეოგრაფია უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ ოფიციალური პროგრამის უქონლობის და სსსრ განათლების სამინისტროს მითითებების შეუსრულებლობის შედეგად გამოკვლეულ სკოლებში მასწავლებლებს VII კლასის გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდათ „სსრ კავშირის ფიზიკურ-გეოგრაფიული და სსრ კავშირის სარაიონო მიმოხილვა“.

მითითებები უფრო დამახინჯებულად აქვს გაგებული ოჩამჩირის რუსული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელ ნ. შაკაიას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მითითებაში ნაჩვენები წინა კლასებში შესწავლილი მასალის თემები: „გეგმა და რუკა“, „დედამიწის ზედაპირის ფორმები“, „წყალი დედამიწაზე“ და სხვა, რომლის განმეორება VII კლასში ახალი მასალის პარალელურად უნდა მოხდეს, მასწავლებელს როგორც ახლად დასამუშავებელი მასალა ისე მიუჩნევია და მისი თავიდან ხელახლად დამუშავება I-II მეოთხედში განუზრახავს, ხოლო პროგრამული მასალის დამუშავების დაწყება III და IV მეოთხედში გაუთვალისწინებია.

ზოგიერთმა მასწავლებელმა სუსტად იცის საგანი, არ მუშაობს თავის-თავზე და მისი გაკვეთილიც დაბალი ხარისხისაა. სოფ. ლესელიძის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი შ. ნადარეიშვილი კონკრეტული ფაქტების აღწერის ნაცვლად უშინაარსო ფრა-

ზებს აწვდის კლასს. მაგ. VI კლასში ფინეთის ბუნების პირობების ახსნისას მასწავლებელმა ასეთი შედარება მოახდინა—„როგორც ვიცით ლენინის პიკი და სტალინის პიკი წარმოადგენენ ქვეყნიერების სახურავს. ასეთი ცივილიზაციის მიხედვით ფინეთი წარმოადგენს ტბათა ქვეყანას“ (?!). ამ სკოლის VI და VII კლასების მოსწავლეთა ცოდნა დაბალია. მათ არა აქვთ განვითარებული გაკვეთილის შინაარსის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი. ვერ ერკვევიან რუკის პირობით ნიშნებში და სხვ.

რუკებით და სხვა საჭირო ხელსაწყოებით სკოლები სრულებით არ არის მომარაგებული. არც ერთ სკოლას არ გააჩნია საქართველოს არც ფიზიკური და არც პოლიტიკური რუკა. ოჩამჩირის ქართულ საშუალო სკოლას მხოლოდ ერთი ნახევარსფეროების რუკა, ერთი გლობუსი და ერთი ტელური გააჩნია. სურათები, სქემები, კარტოგრამები სკოლებს არა აქვთ.

არც ერთ სკოლაში არ არის შემოღებული გეოგრაფიის რვეულების წარმოება, არაა ჩამოყალიბებული გეოგრაფიის წრე; არც ერთ სკოლას არ მოუწყვია გეოგრაფიული შინაარსის ექსკურსია, მიუხედავად მეტად მდიდარი საექსკურსიო ობიექტების არსებობისა. სოხუმის რუსული ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის, ოჩამჩირის რუსული საშუალო სკოლის, გაგრის რუსული საშუალო სკოლის და სოფ. ლესელიძის რუსული საშუალო სკოლის ყველა კლასები 70-80%-ით უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით, ხოლო ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლა, გაგრის რვაწლიანი სკოლა და სოფ. ლესელიძის ქართული საშუალო სკოლები ნაკლებად არიან მომარაგებული საჭირო სახელმძღვანელოებით. საშუალოდ მათი მომარაგება უდრის 30-40%-ს.

### 7. აღმზრდელობითი მუშაობა

აღმზრდელობითი მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. სააღმზრდელო გეგმები ტრაფარეტულად და შაბლონურად დგება (სოხუმის ქართული ვაჟთა I საშუალო სკოლა). სოხუმის ვაჟთა I და გალის II საშუალო სკოლებში მოსწავლენი ხშირად არღვევენ სასწავლო რეჟიმს. ასე, მაგ. სოხუმის ვაჟთა I საშუალო სკოლაში რუსული ენის გაკვეთილს მე-10 კლასში 16 მოსწავლიდან მხოლოდ 7 ესწრებოდა. გალის II საშუალო სკოლის V-VIII კლასების მოსწავლეთა საკმაო ნაწილი ხშირად იგვიანებს და ბოლოს გაკვეთილებს უნებართვოდ ტოვებს.

სკოლების უმეტეს ნაწილში „წესები მოსწავლეთათვის" მივიწყებულია. წესები მხოლოდ გაკრულია კედლებზე და ისე მაღლა, რომ მისი წაკითხვა მოსწავლეებს არ შეუძლიათ. პედაგოგიურად მოფიქრებული სისტემატური მუშაობა წესების დაუფლებაზე არ სწარმოებს. ამის შედეგია, მაგალითად, რომ გაგრის 8 წლიანი საშუალო სკოლაში, გულრიპშის საშუალო სკოლაში და აჩიგვარის საშუალო სკოლაში არ არის სათანადოდ დაცული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და სოხუმის ვაჟთა I საშუალო და გალის ვაჟთა II საშუალო სკოლებში მოსწავლენი წიგნებსა და სასწავლო ნივთებს არ უვლიან.

8. ბევრი მასწავლებელი სათანადო ყურადღებით არ ეკიდება მოსწავლეთა ცოდნის ყოველდღიურ შეფასებისა და მეოთხედური ნიშნების სწორად გამოყვანის საქმეს. გაგრის ქართული რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე ნ. ნ. ჟურნალის მიხედვით ბუნებისმეტყველებაში ერთხელაც არ არის გამოძახებული. მეოთხედის ნიშანი კი აქვს „4". ამავე კლასის მოსწავლე ნელი ოჩიგავა გამოკითხულია ერთჯერ, 29 ოქტომბერს, და მიღებული აქვს „5", ხოლო მეოთხედის ნიშანი უწერია „3". ამ კლასში კი სულ 7 მოსწავლეა. ამავე სკოლის V კლასის მოსწავლე რ. კ. ბუნებისმეტყველებაში გამოკითხულია ერთჯერ, 16/X და მიღებული აქვს ორი, მეოთხედურ ნიშნად უწერია—„3". ამ კლასშიც სულ 12 მოსწავლეა. ლესელიძის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები (VIII კლ.) ერთხელაც არ არიან გამოძახებული ბიოლოგიაში, მეოთხედის ნიშანი კი უწერიათ ორივეს „4".

ოჩამჩირის ქართულ საშუალო სკოლის IV კლასში გაკვეთილზე მასწავლებელმა პირველი გამოკითხული მოსწავლის პასუხი შეაფასა ნიშნით (შეფასება სწორი იყო) და შეიტანა ჟურნალში, ხოლო შემდგომ გამოკითხული 2 მოსწავლის პასუხი შეუფასებელი დასტოვა.

9. არ სწარმოებს ბიბლიოთეკების შევსება ახალი წიგნებით და არსებული წიგნადი ფონდის გამოყენებაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მაგ. სოხუმის ვაჟთა I საშუალო სკოლას 3000-დე წიგნი აქვს, მაგრამ მკითხველ მოსწავლეთა რაოდენობა 30-40 არ აღემატება. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი სხვა სკოლებშიაც.

10. სავსებით არადამაკმაყოფილებლად დგას წიგნების განაწილების საქმე. მაშინ როცა ქალაქისა და რაიონის ცენტრის სკოლები თითქმის მთლიანად არის უზრუნველყოფილი სახელმძღვანელო წიგნებით, სოფლის სკოლებში წიგნები ან სრულებით არ არის, ან და ძალზე მცირე რაოდენობით. მაგ. აჩიგვარის საშუალო სკოლაში არითმეტიკის სახელმძღვანელო 27 ბავშვიდან მხოლოდ

7 აქვს, ბესლეთის სკოლაში მე-9 კლასის სახელმძღვანელო ლიტე-რატურაში მხოლოდ 3 მოსწავლეს,—სოფ. ლესელიძის ქართული სკოლის მეორე კლასის 21 მოსწავლიდან რუსული ენის სახელმძღვანელო მხოლოდ 11 მოსწავლეს ჰქონდა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

**1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრს:**

ა) უზრუნველჰყოს აფხაზეთის ასსრ-ს სკოლები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყველა პროგრამითა და სადირექტივო ხასიათის სასკოლო დოკუმენტებით;

ბ) უმოკლეს ვადაში შეამოწმოს სოფლისა და ქალაქის სკოლებს შორის სახელმძღვანელო წიგნების განაწილების საქმე და გაატაროს სათანადო ღონისძიებანი, რათა ქალაქებისა და სოფლის სკოლის მოსწავლეები თანაბრად მარაგდებოდნენ სახელმძღვანელო წიგნებითა და სხვადასხვა სასწავლო ნივთებით;

გ) სასწრაფოდ მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა სასწავლო კაბინეტების შესაძენად გათვალისწინებული თანხები მთლიანად იქნეს ათვისებული; დააწესოს ზედამხედველობა სკოლებზე და უზრუნველჰყოს სასკოლო კაბინეტების მოვლისა, დაცვისა და გამოყენების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დირექტივების განხორციელება;

დ) მეტი ყურადღება მიაქციოს სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებისა და მათი მუშაობის მოწესრიგების საქმეს;

ე) სკოლებას მიმდინარე შემოწმებისას ცალკე საგნების სწავლების მდგომარეობის შესწავლასთან ერთად, როგორც წესი, სისტემატურად ხდებოდეს სააღმზრდელო მუშაობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებათა დასახვა ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ვ) მიიღოს ყველა საჭირო ზომები, რათა სკოლებმა გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა მოსწავლეთა წესების ჩვევად გადაქცევისათვის.

2. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) I-IV კლასებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებას, დამოუკიდებელი თხრობის უნარისა და სწორი, ლამაზი ხელის გამომუშავების საქმეს;

ბ) მეტი დრო დაეთმოს სალექსიკონო მუშაობას, ცალკეული სიტყვების ახსნა განმარტებას, მათ სწორად გამოყენებას მეტყვე-ლებაში, თანამიმდევრული თხრობის უნარის გამომუშავებას;

გ) გრამატიკის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირდეს ლიტერა-ტურული ტექსტის შესწავლას, გამახვილდეს ყურადღება პრაქტი-კული ხასიათის საკითხებზე, სისტემატურად ტარდებოდეს სათანა-დო სავარჯიშოები მართლწერისა და საერთოდ სწორმეტყველების მტკიცე ჩვევების გამოსამუშავებლად;

დ) სათანადო ყურადღება მიექცეს პროგრამით გათვალისწინე-ბული პოეტიკის საკითხების სწავლებას და მასთან დაკავშირებით სტილისტიკურ ვარჯიშს;

ე) თითოეულ კლასში წერითი მუშაობა ჩატარდეს ისეთი რაოდენობით, რომელიც ნამდვილად უზრუნველჰყოფს პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევების გამომუშავებას, მეტი ყურა-დღება მიექცეს წერითი მუშაობის სახეების მრავალფეროვნებას და მარტივი სახიდან რთულ სახეზე თანდათანობით გადასვლას, V-XI კლასებში სისტემატურად მიეცეს მოსწავლეებს საშინაო წერითი სამუშაო. საშინაო სამუშაოს შესრულებაზე დამყარდეს მასწავლე-ბელთა მტკიცე ხელმძღვანელობა და კონტროლი. გულდასმით გას-წორდეს მოსწავლეთა ყოველგვარი წერითი ნამუშევარი, განემარ-ტოს მოსწავლეებს მათ მიერ დაშვებული შეცდომების ხასიათი და მოეთხოვოს მათ შეცდომების გასწორება;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კლასგარეშე კითხვას ლიტერატურაში, თითოეულ კლასისათვის შედგეს წასაკითხ ლი-ტერატურულ ნაწარმოებთა სია; მასწავლებლებმა დააწესონ მტკიცე კონტროლი კლასგარეშე კითხვაზე;

ზ) „სკოლაში მეთოდური მუშაობის დებულების" შესაბამისად სკოლებში ჩამოყალიბდეს ქართული ენისა და ლიტერატურის საგ-ნობრივი კომისიები, კომისიების მუშაობას მიეცეს გეგმიანი ხასიათი.

3. რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები იმისათვის, რომ IX-XI კლასებში რუსული ენის პროგრამის გავლა 1946-47 სასწავლო წელს მიმდინარეობდეს იმ მოცულობით და იმ წესების დაცვით, როგორც ეს მოცემულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტ-როს მითითებებში;

ბ) ყველა საშუალო სკოლაში, არსებული დებულების საფუძველზე, ჩამოყალიბდეს საგნობრივი კომისია, რომელმაც ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა მიერ ყველა სახის გეგმების შემოწმებას, წერითი სამუშაოების სახის წინასწარ დადგენას, მისი ნორმების შესრულებას, მათ გასწორება-შეფასებას, თითოეული მასწავლებლის მაღალხარისხოვან მუშაობას და ა. შ.

გ) მიღებულ იქნას ზომები რუსული ენის სახელმძღვანელოებით II კლასის ყველა მოსწავლის უზრუნველსაყოფად.

დ) ოჩამჩირის საშუალო სკოლის II კლასში, მასწავლებელმა ლაბახუამ ყურადღება გაამახვილოს და ახლო მომავალში ლიკვიდაცია უყოს იმ მდგომარეობას, რომ ამ კლასის მოსწავლეთა ნაწილს არა აქვს სიტყვის საჭირო მარაგი, სუსტად იცნობს გავლილ ასოებს, რის გამო მათთან გაძნელებულია კითხვის ტექნიკის განვითარება.

ე) მტკიცედ იქნას დაცული წესი წერითი ნამუშევრების სკოლაში შენახვის შესახებ.

4. ისტორიის სწავლების გაუმჯობესების მიზნით:

ა) დაუყოვნებლივ შესწორდეს ყველა სკოლაში ისტორიის წლიური კალენდარული გეგმები ოფიციალური პროგრამებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა მიხედვით.

ბ) ისტორიის მასწავლებლებმა გაამახვილონ ყურადღება ისტორიის გაკვეთილებზე აღმზრდელობითი ხასიათის საკითხებზე. ისტორიული მასალა გამოიყენონ მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, ორგანიულად დაუკავშირონ ეს მასალა თანადროულობის შესანიშნავ მოვლენებს.

გ) მასწავლებლებმა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლეთა წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის აღზრდას, ჩამოაყალიბონ ისტორიის წრეები, მიაჩვიონ მოსწავლეები რეფერატების და მოხსენებების წერასა და წაკითხვას.

დ) რაიონული მეთოდური კაბინეტების ისტორიის სექციის ხელმძღვანელებმა აწარმოონ ისტორიის მასწავლებელთა სისტემატური შეკრება და მისცენ მათ სათანადო მითითებები პროგრამული და მეთოდური საკითხების შესახებ;

ე) განათლების განყოფილებებმა და სკოლის დირექტორებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლების ისტორიული რუკებით მოსამარაგებლად;

ვ) დაევალოს ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის დირექ-

ტორს (იგივე ისტორიის მასწავლებელს) დარსანიას, ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელ შამათავას, ლესელიძის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელ ნადარეიშვილს სისტემატურად ემუშაონ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების დონის ამაღლებისათვის, იქონიონ ყველა საჭირო გეგმა, მოფიქრებულად ემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის და უზრუნველჰყონ სწავლების მაღალი ხარისხი;

ზ) დაევალოს სოფ. ლესელიძის რუსული საშუალო სკოლის დირექტორს პასკოს, ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის დირექტორს დარსანიას, ოჩამჩირის რუსული საშუალო სკოლის დირექტორს შონიას, გაგრის ქართული 8-წლიანი სკოლის დირექტორს სოფიას—დაუყოვნებლივ უზრუნველჰყონ აღნიშნულ სკოლებისათვის ისტორიის წლიური კალენდარული გეგმების შედგენა, მიეთითოთ მათ ასეთი გეგმების თავის დროზე წარმოუდგენლობისათვის;

თ) აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ დეტალურად შეისწავლოს აფხაზეთის ასსრ სკოლების ისტორიის მასწავლებელთა შემადგენლობა და შეარჩიოს სუსტი მომზადების მასწავლებლები (ნადარეიშვილი, შამათავა და სხვა) ისტორიის მასწავლებელთა საზაფხულო რესპუბლიკურ კურსებზე გასაგზავნად.

**ნ. ბუნებისმეტყველების სწავლების გაუმჯობესების მიზნით:**

1) დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს შეამოწმოს და გამოარკვიოს დღემდე სკოლების მიერ პროგრამების მიუღებლობის მიზეზები და მიიღოს გადამჭრელი ზომები ახალი პროგრამების სკოლებამდე დაუყოვნებლივ დაყვანისათვის.

2) სკოლების დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა და მასწავლებლებმა:

ა) 1946 წლის ბოლომდე უზრუნველჰყონ მასწავლებლების მიერ საგნის წლიური კალენდარული გეგმების საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1946 წელს გამოცემული პროგრამების შესაბამისად გადამუშავება და ამ გეგმებში სავალდებულო ექსკურსიებისა და სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოთა, განსაკუთრებული მასალის შეტანა და სისტემატურად გაუწიონ კონტროლი კალენდარული გეგმების შესრულებას;

ბ) სისტემატურად ამოწმონ მასწავლებელთა მზადება გაკვეთილისათვის (თემატური და გაკვეთილის გეგმები), დაესწრონ გაკ-

ვეთილებზე, ყურადღება მიაქციონ გაკვეთილზე თვალსაჩინოების, ცდებისა, ექსპერიმენტისა და დაკვირვებების მოწყობას, დასამუშავებელი მასალის პრაქტიკასთან და სოცმშენებლობის საქმეებთან დაკავშირებას, საბუნებისმეტყველო რვეულების სწორი წარმოდგენებს; მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას, დამუშავებული მასალისა და ნიშნების ჟურნალში შეტანას, ჟურნალის სუფთად წარმოებას და სხვ.;

გ) მიიღონ გადამჭრელი ზომები ჩამორჩენისა და გავლილი მასალის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ, გასავლელი მასალის შემჭიდროებით და გავლილის სისტემატური განმეორებით მიაღწიონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მაღალხარისხოვან შეთვისებას (გაგრის ქართული რვაწლიანი სკოლის, გაგრის რუსული საშუალო სკოლისა და ოჩამჩირის ქართული სკოლის მეოთხე კლასები);

დ) ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო მასალის თანამიმდევრულად გადაცემას, საბუნებისმეტყველო მასალის აღმზრდელობით მომენტებს, გაკვეთილებზე თვალსაჩინოების, ცდებისა და დაკვირვებების გამოყენებას, ექსკურსიების მოწყობას, განვლილი მასალის სისტემატურ განმეორებას, პრაქტიკული ჩვევების გამომუშავებას და მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის შეგნებულად და მაღალხარისხოვნად შეთვისებას;

ე) უზრუნველჰყონ სკოლასთან არსებული მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობა და სასწავლო მიზნით გამოყენება, დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, საცდელ სადგურებთან და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოსწავლეების სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული ჩვევებით შეიარაღებას;

ვ) ჩამოაყალიბონ ნორჩ-ნატურალისტთა და ნორჩ-მოდელისტთა წრეები და როგორც წესი, წრეების სამუშაო გეგმებში შეიტანონ და დაამუშაონ პრაქტიკული ხასიათის საკითხები;

ზ) შეუდგნენ ბიოლოგიური კაბინეტების ორგანიზაციას (სადაც ასეთი არ არის), არსებული კაბინეტები მოიყვანონ სრულ წესრიგში, შეავსონ ახალი თვითნაკეთი და შეძენილი ხელსაწყოებით, შეაკეთონ დაზიანებული ხელსაწყოები და მათ მოვლა-შენახვასა და გამოყენებას მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება;

თ) მოაწყონ ცოცხალი ბუნების კუთხე ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების გამოყენებით, შეავსონ და გაამდიდრონ სასკოლო ბიბლიოთეკები სასოფლო-სამეურნეო და საბუნებისმეტყველო ხასიათის საბავშვო პოპულარული ლიტერატურით;

ი) სასკოლო ნაკვეთებზე ჩაატარონ საშემოდგომო სამუშაოებს, უზრუნველჰყონ ნაკვეთები სათესი და სარგავი მასალით, სასუქებით, ნაკვეთზე სამუშაო ინვენტარითა და იარაღებით. მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინონ ამისათვის საჭირო სახსრები და როგორც წესი, ნაკვეთის შემოსავალი მთლიანად მოახმარონ ნაკვეთების კეთილმოწყობასა და მათზე მუშაობის გაღრმავებას.

3. რაიგანათლების განყოფილებებმა და პედკაბინეტის ბიოლოგიურმა სექციებმა გაუწიონ კონკრეტული ხელმძღვანელობა, კონტროლი და სისტემატური დახმარება სკოლების მუშაობას. ხშირად მივიდნენ სკოლაში, მოუწყონ მასწავლებლებს კონსულტაციები, საუბრები და ლექციები; ახალგაზრდა და შედარებით სუსტი მასწავლებლები (მ. შომახია, ტ. ერმაკოვა, ნ. ენუქიძე. ვ. კაპბა) გაგზავნონ კვალიფიკაციის ასამაღლებელ საზაფხულო კურსებზე და უზრუნველჰყონ ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება უმოკლეს ვადებში.

### 6. გეოგრაფიის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის:

1) აღკვეთონ გეოგრაფიის სწავლება ძველი პროგრამებით.

2) გადასინჯონ გეოგრაფიაში ყველა კლასის წლიური კალენდარული სამუშაო გეგმები და შეასწორონ ისინი ახალი, ოფიციალური პროგრამების მიხედვით.

3) ოჩამჩირის ქართული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა ს. პაპავამ და ოჩამჩირის რუსული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელმა შაკაიამ, აღკვეთონ მერვე კლასში ჯერ პირველ და მეორე მეოთხედის მანძილზე წინა კლასებში გავლილი მასალის გამეორებისა და შემდეგ მესამე და მეოთხე მეოთხედებში პროგრამული მასალის დამუშავების გეგმა.

4) მერვე კლასში მასწავლებლებმა წინა კლასებში გავლილი მასალის განმეორება აწარმოონ ახალი მასალის დამუშავებასთან დაკავშირებით და მის პარალელურად.

5) განმეორება აწარმოონ წინასწარ შედგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით, სკოლის ადმინისტრაციამ კონტროლი გაუწიოს განმეორების საქმეს.

6) არსებითი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში გეოგრაფიული აზროვნების განვითარებას: მასალის დამოუკიდებლად, თანმიმდევრული თხრობით გადმოცემას, გეოგრაფიული ობიექტის მიზეზსა და კავშირის ურთიერთ-დამოკიდებულების აღნიშვნის უნარის გამომუშავებას.

7) განუვითარონ მოსწავლეებს რუკაზე სწორი ორიენტირების უნარი, რისთვისაც ავარჯიშონ მოსწავლეები სხვადასხვა დანიშნულების რუკებზე, გეოგრაფიულ ამოცანებზე, მოაწყონ ექსკურსიები გეოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ობიექტების გასაცნობად და შესასწავლად.

8) არ დაუშვან გეოგრაფიის გაკვეთილების ჩატარება რუკის ან სხვა საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყოს გამოყენების გარეშე.

9) ოჩამჩირის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელ შაკაიას, გაგრის რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელ თ. კედიას, ხაბურზანიას, სოფ. ლესელიძის ქართულ საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელ შ. ნადარეიშვილს დაევალოთ: სისტემატურად იმუშაონ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, დაეუფლონ გეოგრაფიის სწავლების მეთოდებს, ყოველდღიურად ემზადონ გაკვეთილისათვის და უზრუნველჰყონ მაღალხარისხოვანი და მეთოდურად გამართული გაკვეთილის ჩატარება.

10) მიეთითოს გაგრის რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს თ. კედიას და ხაბურზანიას, სოფ. ლესელიძის ქართული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელ შალვა ნადარეიშვილს იმას გამო, რომ მათ არა აქვთ სამუშაო კალენდარული გეგმები, იჩენენ გულგრილობას—არ ზრუნავენ ამ საგნის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის,—დაევალოთ მათ საჭირო მეთოდური ხერხებისა და საშუალებათა გამოყენებით უზრუნველჰყონ სასწავლო წლის ბოლოსათვის პროგრამული მასალის მთლიანად და ხარისხოვნად გავლა.

11) გეოგრაფიის მასწავლებლებმა გეოგრაფიის გაკვეთილებზე გაამახვილონ ყურადღება აღმზრდელობით საკითხებზე.

12) სკოლის ადმინისტრაციამ და რაიონის განათლების განყოფილებებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლების გეოგრაფიული რუკებით მომარაგებისათვის.

საფუძველი: საქართველოს სსრ .განათლების სამინისტროს კოლეგიის 1946 წლის 17 დეკემბრის დადგენილება.

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის**

**მოადგილე მ. ბურჭულაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 2710

## по Министерству Просвещения Грузинской ССР

23 декабря 1946 года.

**Об обследовании учебно-воспитательной работы школ Юго-Осетинской Авт. области.**

Ознакомившись с материалами обследования учебно-воспитательной работы школ Юго-Осетинской Автономной области, отмечаю, что в мужской грузинской, мужской русской, женской грузинской и женской русской средних школах города Сталинири, Авиевской и Корнисской средних школах Знаурского района и Ванатской средней школе Сталинирского района заметно улучшилось качество учебно-воспитательной работы и несколько повысился уровень знаний учащихся.

Хорошо работают преподаватели: химии-Н. Чочиева, биологии—Т. Ломидзе—Сталинирской мужской грузинской средней школы, матиматики—Л. Шаташвили—Сталинирской женской грузинской ср. школы, биологии—Челехсеаева-Сталинирской мужской русской ср, школы, географии—Цховребова, русского языка и литературы – М. Бурябаш – Авиевской ср. школы, истории-Б. Джавахишвили – Ксуйссой средней школы, химии и биологии—А. Мамиева, Корнисской средней школы, педагогики—Е. Хржановский-Сталинирского Государственного педучилища и др. Означенные преподаватели основательно владеют предметами и методами преподавания, систематически готовятся к урокам, урок проводят правильно, учебный материал преподносят учащимся последовательно, содержательно, интересно и использовывают его для воспитательных целей, наглядность в обучении применяют целесобразно и вооружают учащихся довольно прочными знаниями. Наряду с этим в учебно-воспитатель-

ной работе означенных школ имеют место значительные недочеты:

1. В некоторых школах неполностью проведено всеобщее обязательное обучение, материал, подтверждающий проведение этого государственной важности мероприятия, не приведен в соответствующий порядок, напр., в Джавской средней школе из-за отсутствия соответствующих документов, нельзя установить какое количество детей и подростков осталось вне школы, на заседаниях педагогического совета не ставится вопрос о проведении всеобуча и не намечаются соотвествующие мероприятия. Заведующий ОНО Джавского района слабо руководит делом проведения всеобуча.

2. Учебно-материальная база школ Джавского, Сталинирского и Знаурского районов не обеспечивает нормального хода учебно-воспитательного процесса; один корпус Корнисской средней школы, в котором занимаются 6 классов, находится в запущенном состоянии, полы балкона проваливаются, классные комнаты темные, в стенах имеются большие щели и в них свободно гуляет ветер; кабинеты физики, химии и биологии не оснащены соответствующим оборудованием, а в Гуфтинской восьмилетней школе вовсе нет учебных кабинетов. Имеющиеся в некоторых школах учебные кабинеты находятся в запущенном состоянии; в Джавской средней школе около шестидесяти драгоценных приборов физики, из-за плохого ухода за ними, приведены в полную негодность (преподаватель физики. В. Битиев-он же директор школы).

Кабинет химии этой школы, в котором имеются почти все реактивы и приборы, необходимые для наглядного обучения, находился в военном кабинете, существование которого преподавательница химии Е. Санакоева вовсе отрицала.

Преподаватели химии, физики, и биологии, за исключением преподавателей школ города Сталинири, преподавание ведут без применения наглядности, демонстрации, опытов и лабораторных занятий, не организуют экскурсии в колхозы и совхозы, в школах нет учебных земельных участков.

Школы города Сталинири, Джавского, Сталинирского и Знаурского районов не подготовлены к зимнему сезону, школьные здания не остеклены и не подвезено топливо.

3. В некоторых проверенных школах Юго-Осетинской автономной области неудовлетворительно организована методическая работа, методические объединения преподавателей начальных классов и предметные комиссии V—XI классов не организованы, методические совещания не созываются, назаседаниях педагогического совета редко рассматриваются методические и учебно - воспитательные вопросы; педагогические кабинеты и их секции, за исключением педагогического кабинета гор. Сталинари, почти не работают и преподаватели отдельных учебных дисциплин лишены методической помощи и работают кто как может, школьные инспектора РОНО не оказывают школе и учительству эфективного руководства и контроля. Особенно плохо организована методическая работа в школах Джавского района.

Работа педагогического совета школ Джавского, Сталинирского и Знаурского районов протекает слабо, заседания педагогического совета созываются редко. В Джавской и Гуфтинской школах с 1 сентября до 20 ноября заседания педсовета созваны 3 раза, учебно-воспитательные вопросы разбираются с большим опозданием и не намичаются конкретные мероприятия.

В Джавской средней школе на заседании педсовета итоги осенних испытаний заслушаны 19 сентября и постановлением педсовета осенние испытания прекращаются с этого числа. Протоколы заседаний педсовета в Джавской средней и Гуфтинской восьмилетней школах оформляются плохо; протокольные книги не пронумерованы и не заверены сургучной печатью.

4. Делу планирования и учета учебно-воспитательной работы со стороны РОНО, директоров и зав. учебной частью не уделяется достаточное внимание, годовой план учебно-воспитательной работы Джавской и Корнисской средних школ составлен схематично и не отражает необходимых вопросов учебно-воспитятельной работы.

Некоторые классные руководители не знакомятся с указаниями директивных органов относительно планирования и ведения учебно-воспитательной работы, а директора школ не руководят их работой; руководитель VI класса Ванатской средней школы Кобулов, ввиду безответственного отношения к своим обязанностям, план учебно-воспитательной работы состовляет безграмотно и намечает такие мероприятия: „Организация журналов и газет", "Организация добровол. кружков в классе", „Организация собрания учащихся", »Организация разных колхозных работ", „Подготовка к новому году", „Подготовка к III четверти", Организационная работа 24/XII и т. д. Кобулов абсолютно не владеет грузинским языком, а русским языком владеет плохо.

Руководитель IV класса той же школы Махниашвили неправильно планирует учебно-воспитательную работу, по его мнению, работу по укреплению дисциплины среди учащихся можно закончить в продолжение одного дня: он так и пишет в своем плане: „укрепление дисциплины в школе и вне школы 8/IX-8/IX.

Из 11 классных руководителей Гуфтинской восьмилетней щколы план учебно-воспитательной работы составлен только 4 классными руководителями, да и эти планы не отражают конкретных мероприятий по укреплению дисциплины среди учащихся и поднятию уровня академической успеваемости

Некоторые преподаватели не уделяют достаточного внимания составлению годового календарного плана. преподаватель истории Джавской средней школы Кочиев в V классе предусматривает прохождение таких тем, которые давно изъяты из программы средней школы (Финикия, Юдея, Персия). Некоторыми преподователями русского языка и литературы в IX, X, XI классах предусмотрено прохождение таких произведений, которые в текущем учебном году не подлежат прохожцению („Хаджи Мурат" и др.), а директора школ без всякого анализа утверждают эти неправильно составленные планы.

5. Ведению и хранению школьных документов не уделено соответствующее внимание: классные журналы ведутся неудовлетворительно, расписание уроков, домашние за-

дания и другие сведения в журналах записываются небрежно, оценки знания учащихся не заносятся в достаточном количестве; личные дела учашихся не приведены в должный порядок. Приказы, распоряжения, постановления и другие руководящие документы директивных органов не всегда доводятся до работников школ и недостаточно контролируется их выполнение.

6. Преподавание отдельных учебных дисциплин поставлено неудовлетворительно: некоторые преподаватели грузинского и русского языков и литературы не приучают учащихся к работе над текстом. Недостаточное внимание уделяют анализу произведения, не освещают художественной и идейной сторон литературных произведений, не раскрывают идеологии писателя, творчество писателя не рассматривают в историческом аспекте, недостаточно знакомят учащихся с жанром произведения и литературными течениями, не требуют от учащихся заучивания наизусть стихотворений и отдельных мест поэмы и прозаических произведений; грамматический материал проходят в отрыве от литературного материала. Учащиеся X—XI классов Сталинирской мужской грузинской средней школы (преподавательница Джампуридзе Б.) слабо владеют пройденным материалом, неправильно освещают литературные течения: реализм, романтизм и т. п.; не имеют ясных представлений о жанре произведения.

Учащиеся V-VII классов той же школы (преподавательница Гогинашвили Н.) неудовлетворительно владеют грамматическим материалом, учащиеся не справляются с разбором предложения. Затрудняются в нахождении частей предложения, плохо знают материал из раздела "глагол".

Плохо поставлено преподавание грузинского языка и литературы в Корнисской, Джавской средней и Гуфтинской восьмилетней школах.

Преподаватель русского языка и литературы Корнисской средней школы Козаев недостаточно владеет русским языком, в разговорной и письменной речи допускает ошиб-

ки, слабо владеет методами преподавания русского языка, не готовится к уроку и урок организует неправильно. Знания учащихся весьма низкие.

Преподаватели грузинского и русского языков в недостаточном количестве проводят письменные работы, некоторые из них неорганизованно и методически неправильно организуют контрольные письменные работы (Гониашвили, Козаев).

7. В некоторых школах неудовлетворительно поставлено преподавание гражданской истории. Недостаточное внимание уделено правильному усвоению учащимися исторических событий, причин, вызвавших эти события, точному заучиванию исторических имен и хронологии.

Учащиеся VII класса Гуфтинской восьмилетней школы плохо владеют пройденным курсом, не справляются с изложением материала. не знают хронологии и слабо ориентируются на карте.

Преподаватель Корнисской средней школы Битиев плохо организует преподавание гражданской истории, при объяснении материала „Нашествие Наполеона", он неправильно разъяснил учащимся хода 1 отечественной войны, главнокомандующим назвал Багратиони но не Кутузова, не раскрыл перед учащимися народного характера войны, не осветил значения и ход партизанской войны, неправильно осветил взаимоотношения Александра 1 и Кутузова, не охарактеризовал политического строя России при царствовании Александра 1, почти ничего не сказал о великом плане разгрома врага (о калужском отступлении) причиной отступления русской армии назвал разделение вооружённых сил на три подразделения, учащиеся XI класса очень слабо владеют пройденным материалом. Преподавание истории неудовлетворительно поставлено и в Сталинирской грузинской мужской средней школе (преподаватели Гвердцители и Бахтадзе).

Значительными недочетами характеризуется преподавание математики и физики: преподаватель математики Сталинирского государственного училища Г. Тедеев неправильно организует процесс преподавания и учащихся не вооружает необходимыми знаниями. Преподаратели Стали-

нирской русской женской средней школы—Макеев и Бородина, недостаточное внимание уделяют прочному и сознательному усвоению учащимися программного материала, не выполняют нормы письменных работ, неправильно исправляют и оценивают контрольные письменные работы; учащиеся означенной школы выявили непрочное знание пройденного материала.

Весьма неудовлетворительно поставлено преподавание физики в Джавской средней школе, преподаватель предмета В. Битиев (он же директор школы) в преподавании не применяет наглядности и не добивается вооружения учащихся прочными знаниям; повторение пройденного материала проводит неправильно, он не знаком с указаниями Министерства просвещения Грузинской ССР „О работе новыми программами".

Учащиеся не знают элементарных вопросов из пройденного материала, не могут правильно определить ом, ампер, киловат, ват, вольт и др.

В Корнисской средней школе плохо поставлено преподавание биологических дисциплин, преподавательница Бестаева плохо влодеет русским языком, преподавание ботаники и зоологии проводит без применения соответствующей наглядности, прохождение программного материала в VII классе отстает на 18 часов. Учащиеся VII класса выявили абсолютное незнание пройденного материала.

Означенные недочеты в основном объясняются тем, что, работники РОНО и директора школ не руководят работой школы и не посещают работу учителей и не дают им соответствующик указаний.

## Приказываю:

### 1. Директорам школ:

1. На основе инструкции, утвержденной постановлением Совета Народных Комиссаров Грузинской ССР, № 1756 от 28 декабря 1943 г. в 10 дневный срок произвести учет детей и подростков школьного возраста, выявить оставшихся вне школы и зачислить их в соответствующие клас-

сы. Вопрос проведения всеобуча обсудить на ближайшем заседании педагогического совета и наметить такие мероприятия, которые действительно обеспечат полный охват детей школами и предотвратить отсев учащихся из школы;

2. Принять решительные меры по укреплению учебно-материальной базы школы в пределе бюджетных возможностей пополнить кабинеты физики, химии и биологии необходимой аппаратурой, реактивами и препаратами, а библиотеки необходимой для внеклассного чтения литературой; приобрести географические и исторические карты и другие дидактические пособия. До 31 декабря закончить инвентаризацию имущества учебных кабинетов, кабинеты по описи сдать зав. кабинетами и установить контроль за хранением и целесообразным использованием в обучении оборудования учебных кабинетов.

3. В недельный срок составить план работы по повышению уровня идейно-политической подготовки и педогогическо-методической квалификации учителей и придать этой работе систематический характер.

4. В кратчайший срок пересмотреть школьный годовой план учебно-воспитательной работы и план работы классных руководителей, а также годовые календарные планы учебных дисциплин и обеспечить пересоставление их в полном соответствии с инструкцией Наркомпроса о планировании учебно-воспитательной работы, программами и указаниями Министерства Просвещения Грузинской ССР и в дальнейшем установить систематический контроль за выполнением намеченных мероприятий и своевременным прохождением предусмотренных программами учебного материала.

5. Коренным образом улучшить методическую работу, там, где количество преподавателей позволяет, организовать методоб'единения преподавателей начальных классов и предметные комиссии V-XI классов и наладить их плановую работу, по плану проводить открытые уроки, на заседании педагогического совета периодически обсуждать педагогические и методические вопросы и намечать мероприятия, способствующие улучшению качества учебно-

воспитательной работы учителей; переодически организовать для учителей доклады и лекции на педагогические и методические темы.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. На основе нового положения направить работу педагогического совета, на заседаниях рассматривать исключительно учебно-воспитательные вопросы, по каждому вопросу намечать конкретные мероприятия и добиться их выполнения, улучшить качество оформления протоколов педсовета, протокольную книгу пронумеровать, прошнуровать и заверить сургучной печатью РОНО:

7. Основательно усилить воспитательную работу как в стенах школы, так и вне школы; вопрос о состоянии воспитательной работы заслушать на ближайщем заседании педсовета и наметит мероприятия, обеспечивающие прочное внедрение правил для учащихся, поднятие уровня знания учащихся, расширение их общеобразовательного кругозора, выработку твердой воли и характера.

8. Систематически проверять состояние преподавания отдельных учебных дисциплин, путем посещения уроков лично познакомиться: с подготовкой учителя к уроку, организационно-методической стороной урока, последовательностью и своевременностью прохождения программного материала, проверкой выполнения домашних заданий учашимися и оценкой их знания, качеством объяснения нового учебного материала, увязкой нового материала с пройденным, ходом повторения пройденного, использованием учебного материала с воспитательной целью и работой учителя в направлении некоторой практической подготовки учащихся. Итоги изучения работы учителей обсуждать на заседаниях педсовета и намечать необходимые мероприятиядля улучшения качества преподавания и поднятия уровня академической успеваемости учащихся.

9. Улучшить внеклассную и внешкольную работу, установить систематический контроль за работой предметных и самодеятельных кружков и наладить эту работу так, чтобы способствовать углублению знания основ наук учащимися, расширению их общеобразовательного горизонта и выработать у них навыки ведения общественно-полезной работы.

10. Установлением систематического контроля за ведением и бережным хранением школьных документов добиться коренного улучшения качества ведения классных журналов и других документов; руководящие документы директивных органов своевременно доводить до учителей и обеспечить их неуклонное выполнение.

II. Преподавателям отдельных учебных дисциплин:

1. Преподавателям грузинского и русского языков и литературы серьезное внимание уделять работе учащихся над литературным текстом, логическому и формалному анализу произведений, правильному освещению идейной и художественной сторон отдельных произведений, точному определению литературных течений и разъяснению значения художественной литературы для развития общественного сознания; систематически требовать от учащихся заучивание наизусть стихотворений и отдельных мест литературного произведения; прохождение грамматики тесно увязать с проходимой литературой, примеры для грамматических упражнений брать из параллельно проходимого литературного материала, планово проводить письменные работы, больше внимания уделять исправлению и оценке письменных работ учащихся.

2. Преподавателям гражданской истории особо серьезное внимание уделять прочному и сознательному усвоению учащимися проходимого учебного материала, правильному пониманию ими возникновения и развития исторических событий, заучиванию ими исторических терминов, уяснению роли исторических личностей, усвоению хронологии и выработке у учащихся навыков последовательного изложения исторического материала и на основе изученного делать заключения и обобщения.

При преподавании истории неуклонно руководствоваться постановлением СНК и ЦК ВКП (б) от 16 мая 1934 г. „О преподавании истории в школах СССР."

3. Преподавателям географии особое внимание уделять правильному и прочному усвоению учащимися геогра-

фических терминов, выработке у них навыка чтения карты, систематически упражнять учащихся в использовании учебника, справочников, таблиц, в заполнении немых карт и приучить их складному изложению материала.

4. Преподавателям физики, химии и биологии широко внедрить в преподавании наглядность, демонстрацию опытов, наблюдения над явлениями природы, лабораторную проработку отдельных разделов курсов, организацию экскурсии в природу, совхозы, колхозы, на заводы и фабрики. Прохождение курса химии, ботаники и зоологии тесно увязать с сельскохозяйственной практикой совхозов и колхозов, в каждой школе организовать учебный участок проводить практические занятия на нем и добиться сознательного и прочного усвоения учащимися учебного материала и выработки у них диалектико-материалистического мировозрения и практических навыков.

5. Преподавателям математики в нужном количестве проводить письменные работы, особое внимание уделять объему и содержанию намеченных для контрольных работ примеров и задач, письменные работы исправлять внимательно и оценивать объективно, после каждой контрольной работы заставить учащихся проводить работу по исправлению ошибок; на уроках математики особо серьезное внимание уделять повторению пройденного курса арифметики и выработки у учащихся навыков правильного ведения действий над дробными числами: систематически упражнять учащихся в решении арифметических и геометрических задач и добиться прочного и сознательного усвоения учащимися учебного материала,

6. Всем преподавателям систематически работать над повышением уровня идейно-политической подготовки, педагогической и методической квалификации, основательно готовиться к каждому уроку, учебный материал проходить последовательно и преподносить его учащимся содержательно и интересно, новый материал тесно увязать с пройденным, повторению пройденного придавать систематический характер, учебный материал целесообразно использо-

вать для коммунистического воспитания учащихся и добиться вооружения их прочными знаниями, воспитания у них твердой воли, Коммунистической морали и характера, органической увязкой проходимого учебного материала с практикой обеспечить выработку у учащихся навыков необходимых для ведения общественно-полезного труда.

При повторении пройденного курса неуклонно руководствоваться программами и указаниями Министерства Просвещения Грузинской ССР „О работе в 1946-47 учебном году программами средней школы".

7. Всем классным руководителям коренным образом улучшить воспитательную работу, серьезное внимание уделять планированию учебно-воспитательной работы, в план работы предусмотреть такие мероприятия, которые действительно обеспечат внедрение правил для учащихся и систематической работы учащихся над усвоением основ науки; улучшить качество внеклассной и внешкольной работы, систематически руководить работой учащихся в предметных и самодеятельных кружках и внеклассным чтением; повседневную помощь оказывать классному организатору и пионерской организации. всемерно содействовать целесообразному и содержательному проведению сборов пионеротрядов; переодически созывать совещания преподавателей класса и намечать мероприятия по улучшению учебно-воспитательной работы и повышению уровня академической успеваемости учащихся.

**Заведующим, областным, городским и районными отделами народного образования:**

1. Коренным образом улучшить руководство над школами, периодически проверять постановку учебно-воспитательной работы, выявлять успехи и недочеты давать школам методические указания по изжитию имеющихся недочетов и широкому внедрению педагогического опыта передовых учителей и установить контроль за выполнением данных указаний.

2. До 31 декабря 1946 г. проверить состояние осуществления закона о всеобщем обязательном обучении и обеспечить полный охват школой всех детей и подростков

школьного возраста, добиться изжития пропусков уроков и опозданий на уроки учащимися и сохранения в школах всего контингента учащихся.

3. В соответствии с постановлением СНК Грузинской ССР № 1644 от 13 декабря 1945 г. обеспечить школы топливом и другим оборудованием, необходимым для нормального хода учебных занятий в течение зимнего сезона.

4. Принять решительные меры по улучшению работы педагогических кабинетов и добиться чтобы педкабинеты планомерно и целесообразно оказывали школам и учительству методическую помошь; Обл. ОНО до 31 декабря проверить работу педкабинетов и их секции и наметить соответствующие мероприятия; Зав. Сталинирским Областным ОНО иГор. ОНО принятием соответствуюших мер обеспечить укрепление материальной базы и улучшение работы городского пед. кабинета и добиться превращения его в работы опытно-показательную для районных педкабинетов области;

5. С 25 ноября 1946 г. как несоответствующих освободить от работы: преподавателя математики Сталинирского Государственного педагогического училища Г. Тедеева, преподавателей Корнисской средней школы: истории — Битиева, русского языка и литературы — Козаева и грузинского языка — Тхелидзе и руководителя VI класса Ванатской средней школы — Кобулова.

Директору Джавской средней школы — преподавателю физики Битиеву В. за необеспечение сохранности имущества кабинета физики, срыв наглядного преподавания курса физики объявить выговор.

Зав. ОНО Джавского района за неосуществление руководства над щколой и необеспечение нормального хода учебных занятий указать и предложить ему в кратчайший срок выявить виновников в деле преступного уничтожения имущества физического кабинета и привлеч их к ответственности, со взысканием материального ущерба.

Настоящий приказ обсудить на заседании педагогического совета школ области и наметить соответствующие мероприятия.

Зам. Министра Просвещения Грузинской ССР

М. БУРЧУЛАДЗЕ

**მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს/**

ეროვნული

1946 წლის 21—25 ოქტომბერს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორების ბ. ბათიაშვილის, სილ. ცხაკაიასა და ვ. გოცირიძის მიერ ქუთაისის რაიონის სკოლების მუშაობის გამორკვევის შედეგად წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ქვემო-სიმონეთის, საყულიის საშუალო, ტყაჩირის რვაწლიან და ქვემო-სიმონეთის მეორე უბნის დაწყებით სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა ძირითადად სწორად წარმართავს მუშაობას და სწავლა-აღზრდის საქმეში აღწევს გარკვეულ წარმატებებს. კარგად არიან დაუფლებული საგანს და მის სწავლების მეთოდებს საყულიის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კლ. სვანაძე, ქვემო-სიმონეთის მეორე უბნის დაწყებითი სკოლის მე-2 კლასის მასწავლებელი ა. ჭუმბურიძე, რომელნიც მეთოდურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით კარგად აგებული გაკვეთილებით უზრუნველჰყოფენ მოსწავლეთა შეიარაღებას სათანადო ცოდნა-ჩვევებით. საყულიის საშუალო სკოლის პედკოლექტივი კარგად იბრძვის მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის.

მაგრამ დასახელებულ სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რომელთაგან მთავარია შემდეგი:

**ა) ქართული ენისა და ლიტერატურის** სწავლების საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ტყაჩირის რვაწლიან სკოლაში, მასწავლებელი თ. შენგელია ნაკლებად მუშაობს თავის თავზე, მას წლიური სამუშაო გეგმის ნაცვლად შედგენილი აქვს მხოლოდ პირველი მეოთხედის სამუშაო გეგმა, რომელშიც სრულებით არაა შეტანილი პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი მასალა და პოეტიკის საკითხები. მასწავლებელი არ იცნობს ოფიციალურ პროგრამას და არც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებს 1946—47 სასწავლო წელში ამ პროგრამით მუშაობის შესახებ. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, როგორც ენაში, ისე ლიტერატურაში: VIII კლასის 9 მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა შესძლო სწორად დაეწერა თანდებულიანი სახელი „თბილისში". გრამატიკის განკენებულად სწავლებისა და ლიტერატურულ ტექსტებზე სუსტი მუშაობის გამო დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონე. VI კლასში ილ. ჭავჭავაძის „გლახის

ნაამბობი“ სუსტად არის შესწავლილი, ტექსტის შინაარსს მოსწავლენი მოკვითხრობენ დაუხვეწავი ენით და ზოგნი ისეთი გამოთქმებითაც, როგორიცაა: „დააჯინა“, „მალადეც“ და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ენის გრამატიკას განყენებულად ასწავლის ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნინო წერეთელიც. იგი დაუდევრობას იჩენს მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორების საქმეში. ზოგ შემთხვევაში მოსწავლის მიერ სწორად დაწერილ სიტყვას ასწორებს უმართებულოდ. მაგალ., მოსწავლე წერს „დაავადმყოფდა“ მასწავლებელი უსწორებს „დავაადმყოფდა“ მოსწავლე წერს „შვებად“—მასწავლებელი უსწორებს „შვებათ“, მოსწავლე წერს შეცდომით „ცუდ პირობებში უხთება,“—მასწავლებელი ასწორებს—„ცუდ პირობებში უხვდება“ და სხვ.

საყულიის საშუალო სკოლის მასწავლებელ ქ. ჯაჯარიძე უგეგმოდ მუშაობს: XI კლასში ლიტერატურაში გასულ წლებში გავლილი მასალის გამეორება სუსტად ტარდება. ასე, მაგალითად, მოსწავლენი „ვეფხისტყაოსნის“ გარჩევისას ვერ ახერხებენ პოემის შინაარსის სათანადოდ გადმოცემას, სათანადო სტროფების ზეპირად წარმოთქმას. სასწავლო გეგმით XI კლასში გათვალისწინებული კვირეულ 4 საათიდან 1-საათს მასწავლებელი არ იყენებს ენისათვის და არც გეგმა აქვს შედგენილი ენაში სამუშაოდ. მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია, 9 მოსწავლიდან ოთხი მოსწავლის წერითი ნამუშევარი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

ბ) მათემატიკის სწავლებაში ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს საპროგრამო მასალის დაუკავშირებლობა პრაქტიკულ საკითხებთან, მაგალითად, მოსწავლეებმა არ იციან რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სამკუთხედის ტოლობის პირობების ცოდნას. მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ სწავლების დროს აქტიურ მეთოდებს და გაკვეთილებს მშრალი, სქემატური თხრობის სახით გადასცემენ. საყულიის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ყუფარაძემ VII კლასში მონაკვეთის შუაწერტილზე გავლებულ პერპენდიკულარზე მდებარე წერტილის (აგრეთვე ბისექტრისაზე) თვისებაზე ილაპარაკა მხოლოდ თვითონ, არავითარი მონაწილეობა მოსწავლეებს არ მიაღებინა მუშაობაში. დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებით გამოირკვა, რომ მასწავლებლის თხრობამ ცოდნა ვერ მისცა ბავშვებს.

ცუდადაა დაყენებული არითმეტიკის სწავლება ტყაჩირის რვაწლიანი სკოლის III—IV კლასებში. მასწავლებელი ე. ნიშნიანიძე ვერ ერკვევა ამოცანის ამოხსნის რაციონალურ ხერხებში, მან მთელი გაკვეთილი მოანდომა უბრალო, სამკითხვიანი ამოცანის ამოხსნას. მოსწავლეებმა არ იციან ტაბულური და ტაბულის გარეშე გამრავლება, ვერ წერენ სამნიშნა რიცხვებს, თუ ციფრებს შორის ნულია და დაწერილსაც ვერ კითხულობენ. არასაკმაო რაოდენობით ატარებს წერით სამუშაოებს ტყა ირის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნიკოლოზ ნარჩემაშვილი,—25 ოქტომბრისათვის, გარდა V კლასისა, თითო-თითო წერაა ჩატარებული.

გ) გამოკვლეული სკოლების ხელმძღვანელობა და ფიზიკო-ქიმიის მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების შევსებისა და მათ რაციონალურად გამოყენების საქმეზე. ზოგ შემთხვევაში კაბინეტებისათვის გამოყოფილ თანხებს არამომჭირნედ ხარჯავენ. მაგ. საყულიის საშუალო სკოლას (დირექტორი მ. სვანაძე) მიმდინარე სასწავლო წელს ერთ ლიტრ გოგირდმჟავაში გადაუხდია 1200 მანეთი, როდესაც მისი ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს 15—20 მანეთს. ამავე სკოლაში გასულ სასწავლო წელს მიღებული ქიმიური რეაქტივები ხელუხლებლად აწყვია ყუთებში, მასწავლებელი თ. ყუფარაძე აცხადებს, რომ ის „იცავს რეაქტივებს სინესტის გამო დაჟანგვისაგან"(?).

ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლაში ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების ხელსაწყოები ერთ ოთახშია თავმოყრილი, ხელსაწყოების ლითონიანი ნაწილები დაჟანგულია ქიმიური რეაქტივების ზემოქმედებით, მათ მოვლა-პატრონობაზე და სწავლებაში გამოყენებაზე დღემდე არავის უფიქრია. აღნიშნული საგნების მხოლოდ ზეპირსიტყვიერი სწავლების გამო მოსწავლეების ცოდნა ბუნდოვანი და ზოგადია. საყულიის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ მარილმჟავას აგრეგატულ მდგომარეობაზე და აცხადებენ „მარილმჟავა წარმოადგენს მყარ, კრისტალურ ნივთიერებას"-ო. ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლენი თავისუფლად მსჯელობენ თესლის აღმოცენებისათვის საჭირო პირობების შესახებ, მაქსიმუმ, მინიმუმ და ოპტიმუმ ტემპერატურაზე, ჟანგბადის გავრცელებაზე, მის თვისებებზე და არ

არიან დარწმუნებული, რომ მათს საკლასო ოთახში მოიპოვება ურნ-ბადი.

დ) საყულიის და ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლებში ცუდად არის დაყენებული მუშაობა მეორეწლიან მოსწავლეებთან. მესამეწლიანობის გამო გამორიცხულია საყულიის სკოლიდან 26, ხოლო ქვემო სიმონეთის სკოლიდან—25 მოსწავლე. სკოლებში არ მოიპოვება სახელობითი სია და ზუსტი ცნობები მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში მყოფ მეორეწლიან მოსწავლეთა შესახებ.

ე) ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მეთოდური მუშაობა. ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ავალიანი) ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კომისიის სამუშაო გეგმაში შეტანილია მხოლოდ ზოგადი და ზოგჯერ არასწორად ფორმულირებული საკითხები. მაგ., „ავამაღლოთ იდეოლოგიური (ალბათ იდეური) მუშაობის დონე“, „ინდივიდუალური მიდგომა სწავლებაში“, „ჯამბულ ჯაბაევი“, „საბუნებისმეტყველო მასალა II კლასის დედაენაში“, „გოგებაშვილი მშობლიურ სოფელში“ და სხვ.

ვ) მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს შესწავლილ სკოლების პედსაბჭოს მუშაობასაც, დღის წესრიგში ხშირად დგას საორგანიზაციო ხასიათის საკითხები, ხოლო სასწავლო-სააღმზრდელო ხასიათის საკითხების განხილვა მხედველობის გარეშე რჩება.

ზ) ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლაში გაკვეთილების ცხრილი არასწორად არის შედგენილი. ქართული ენა და ლიტერატურა VI კლასში დაწყვილებულია სამჯერ (6 კვირეული საათი), VII კლასში ორჯერ. მეორე ცვლაში მეექვსე გაკვეთილები ფაქტიურად ტარდება პირველ გაკვეთილზე (დროის მოგების მიზნით) უმთავრესად ფიზკულტურისა, რის გამო პირველ ცვლაში ფიზკულტურის მასწავლებელს არა აქვს შესაძლებლობა მეექვსე გაკვეთილის ჩატარებისა და VIII, IX, XI კლასებში ხშირ შემთხვევაში ძირითადი საგნები მეექვსე გაკვეთილად არის შეტანილი.

თ) სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას აღმზრდელობითი მუშაობა ტყაჩირის რვაწლიან სკოლაში. არ სრულდება მოსწავლეთა ქცევის წესები, მასწავლებელთა კოლექტივი არასაკმაოდ მუშაობს სკოლაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და მოსწავლეთა შორის კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო საჭიროდ სცნობს ქუთაისის რაიონის განათლე-

ბის განყოფილებამ, ქვემო-სიმონეთის საყულიის საშუალო და ტყაჩირის რვაწლიან სკოლების დირექტორებმა გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

1. სისტემატურად შეამოწმონ კლასებში „სკოლებში სასწავლო მასალის სისტემატური გამეორების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ა/წლის 9/X—ს დადგენილების გატარება და მიიღონ სათანადო ზომები, რათა გამეორება ცალკე საგნებში თანამიმდევრულად და შინაარსიანად იქნეს წარმოებული.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცალკე სასწავლო დისციპლინებში პროგრამით გათვალისწინებულ მასალის გავლას, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას და აკადემიურ წარმატების მიმდინარე აღრიცხვის საქმეს.

3. პედსაბჭოს მუშაობაში იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო დებულებით.

4. უზრუნველყონ სკოლაში მეორეწლიან მოსწავლეთა შორის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის იმ დონეზე დაყენება, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სამწლიანობის გამო მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვის შემთხვევები.

5. ქვემო-სიმონეთის საშუალო, ტყაჩირის რვაწლიანი სკოლის დირექტორებმა შ. ავალიანმა და ს. ჩხიკვაძემ პედსაბჭოს უახლოეს სხდომაზე მოისმინონ საკითხი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ სკოლაში და ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინონ მასწავლებელ წერეთელს და შენგელიას.

6. ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. შ. ავალიანმა პირადად უხელმძღვანელოს სკოლაში მეთოდური მუშაობის გაშლას, საგნობრივ კომისიების მუშაობას, სკოლის სამუშაო ცხრილში 1947 წლის იანვრიდან შეიტანოს საჭირო ცვლილებები.

7. საყულიის და ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლის დირექტორებმა ამხ. შ. სვანაძემ და შ. ავალიანმა, იზრუნონ ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტების შევსებაზე. ქვემო-სიმონეთის სკოლაში ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტების ხელსაწყოები ლითონიანი ნაწილების დაჟანგვისაგან დაცვის მიზნით ცალცალკე იქნეს შენახული.

8. ტყაჩირის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ამხ. ს. ჩხიკვაძემ პედსაბჭოს უახლოეს სხდომაზე მოისმინოს საკითხი მოსწავლეთა ქცევის წესების შესრულების შესახებ და გაატაროს ღონისძიებანი მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების დანერგვისათვის.

II ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებლებმა:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის V—VIII კლასის მასწავლებლებმა დაუყოვნებლივ გადაამუშაონ საგნის წლიური სამუშაო გეგმები ოფიციალური პროგრამის განმარტებითი ბარათის შესაბამისად (ნაწარმოებთა შესწავლა იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს მოცემულია ახალ ქრესტომათიებში), XI კლასის მასწავლებლებმა ლიტერატურის თეორიის საკითხების დაგეგმვისას გაითვალისწინონ IX—X კლასების პროგრამით მოცემული მასალაც (როგორც ეს მითითებებშია აღნიშნული).

საყულიის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ქ. ჯაფარიძემ უახლოეს დროში წარუდგინოს სკოლის დირექციას შედგენილი წლიური სამუშაო გეგმა ქართულ ენაში XI კლასისათვის და კვირეულ 4-საათიდან 1 საათი გამოიყენოს ენაში სამუშაოდ.

2. ქვემო სიმონეთის საშუალო და ტყაჩირის რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ნ. წერეთელი და შენგელია სისტემატურად ემზადონ გაკვეთილისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წერითი ნამუშევრების გულდასმით გასწორებას და ზუსტად დაიცვან ნამუშევართა შეფასების ნორმები.

3. ტყაჩირის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ნ. ნარჩემაშვილმა სისტემატურად ჩაატაროს წერითი სამუშაოები და გულდასმით გაასწოროს ისინი. ამავე სკოლის არითმეტიკის მასწავლებელმა ელენე ნიშნიანიძემ გააძლიეროს მუშაობა პედაგოგიური დახელოვნებისა და საგნის უკეთ დაუფლებისათვის, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

საყულიის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ჯიშკარიანმა აღკვეთოს მოსწავლეთა მიერ წიგნიდან მათემატიკური მასალის შეუგნებლად დაზეპირების პრაქტიკა, შესაფერისად გამოიყენოს სწავლებაში აქტიური ხერხები და თვალსაჩინოება.

4. საყულიის და ქვემო-სიმონეთის საშუალო სკოლის ქიმიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებმა თ. ყუფარაძემ და ნ. ბერძუაშვილმა წესრიგში მოიყვანონ ქიმიისა და ბუნებისმეტყველების

კაბინეტები, ფართოდ გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება, ცდები, ექსპერიმენტები და მოსწავლეთა თეორიული ცოდნა დაუკავშირონ პრაქტიკულ საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**III. ქუთაისის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ:**

1. გააძლიეროს სკოლებზე ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის, სკოლები დროულად უზრუნველჰყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დირექტივებით.

2. უხელმძღვანელოს ქართული ენისა და ლიტერატურის V—VIII კლასების მასწავლებლებს წლიურ სამუშაო გეგმების მართებულად გადამუშავებაში (ნაწარმოებთა შესწავლა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ნაჩვენებია ახალ ქრესტომათიებში).

3. აღნიშნული წერილი გაუგზავნოს ქუთაისის რაიონის ყველა სკოლას პედსაბჭოს სხდომებზე განსახილველად,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსი უშ. ოგოლაძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექციის უფროსი

შ. იაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დებულება

## მესამე რესპუბლიკური დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე 1946 წლის 20 დეკემბრიდან 1947 წლის 21 სექტემბრამდე ატარებს ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის და ბუნებისმეტყველების აკადემიურ წრეებში გაერთიანებულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ დაუსწრებელ სამეცნიერო კონფერენციას.

**კონფერენციის მიზანი.** კონფერენციის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ გააძლიეროს მოსწავლეთა ინტერესი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისა, ბუნების მოვლენებზე დაკვირვებისა და საკვლევო ხასიათის ექსპერიმენტების მოწყობისადმი და, მეორეს მხრივ, გამოავლინოს გან აკუთრებული ნიჭით და კვლევის უნარით დაჯილდოებული მოსწავლეები.

**კონფერენციის თემატიკა.** კონფერენციის ყოველი მონაწილე ამზადებს მოხსენებას ან თვითნაკეთ ხელსაწყოს; დასაშვებია, აგრეთვე მოსწავლეებმა შეადგინონ მცენარეთა ჰერბარიუმი ან კოლექციები (მწერებისა და მინერალებისაგან), შესაფერისი ახსნა-განმარტებების თანდართვით.

ა) მოხსენება უნდა შეეხებოდეს სასწავლო საგნის კურსის ან აკადემიური წრის პროგრამიდან აღებულ საკითხს და წარმოადგენდეს მის გაღრმავებულ შესწავლას (დამხმარე ლიტერატურის გამოყენების, საკუთარი დაკვირვებებისა და ცდების ჩატარების საფუძველზე). მოხსენებას თან უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

ბ) თვითნაკეთი ხელსაწყოს დამზადების მიზანს უნდა წარმოადგენდეს რომელიმე მოვლენის, კანონის ან წესისა და მისი ტექნიკური გამოყენების გათვალსაჩინოება. შეიძლება, აგრეთვე გაკეთდეს რომელიმე მანქანის ან ქარხნული ტიპის დადგმულობის მომქმედი მოდელი.

გ) საჰერბარიო მასალას უნდა შეადგენდეს რაიონისათვის დამახასიათებელი, როგორც ველურ, ისე კულტურულ მცენარეთა სხვადა-

სხვა ოჯახების წარმომადგენლები ადგილობრივ გავრცელებული ადრე გაზაფხულის მცენარეები, სამკურნალო მცენარეები, სარეველა ბალახები და სხვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ) საკოლექციო მასალას უნდა შეადგენდეს რაიონის მიდამოებში არსებული მინერალების ნიმუშები, აგრეთვე მწერები და ქვეწარმავალნი. კოლექციებს თან უნდა დაერთოს შესაფერისი ახსნა განმარტებანი მოპოვების ადგილისა და დროს ჩვენებით.

ცალკე სასწავლო საგნებში კონფერენციის თემატიკის სახეები შეიძლება შემდეგი იყოს:

## 1. ენასა და ლიტერატურაში:

ა) მოსწავლეთა საკუთარი ლექსი, პოემა, ნოველა, ესკიზი, ეტიუდი, მოთხრობა და სხვა.

ბ) რომელიმე მხატვრული ნაწარმოების გარჩევა ან მწერლის მთლიანი შემოქმედების გარჩევა.

გ) ფოლკლორული მასალების შეკრება (ლექსი, ამბავი, ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, ანდაზა, გამოცანა და სხვა).

ამ სახის მუშაობის შესრულების დროს მოსწავლენი უნდა დაუკავშირდნენ თავისი სოფლის მთქმელებს, რომლებიც გადმოსცემენ ზეპირსიტყვაობის ნიმუშებს. საჭიროა ფოლკლორულ მასალას დართული ჰქონდეს განმარტება მისი წარმოშობის შესახებ.

**დაკვირვება კუთხურ მეტყველებაზე:** ა) მოსწავლემ შეიძლება ჩაიწეროს თავისი სოფლის კილოკავები, სათანადო ახსნა განმარტებით; ბ) შეადგინოს კუთხური სიტყვების ლექსიკონი.

## 2. ისტორიაში:

ა) ადგილობრივ ისტორიული ძეგლების აღწერა (მაგ. ნარიყალა, მეტეხი, სიონი, სვეტიცხოველი, ჯვარის მონასტერი, გორისციხე, ბაგრატის ტაძარი, გეგუთის სასახლე, ერეკლესეული სასახლე თელავში, გელათი, ნიკორწმინდის ეკლესია, ვარძია, თმოგვი და სხვა მსგავსი ძეგლები). ამ შემთხვევაში მოსწავლემ უნდა აღწეროს ისტორიული ძეგლის დღევანდელი სახე, გადმოსცეს მისი ისტორია, შეკრიბოს ხალხში არსებული თქმულებები, გადმოცემანი და ისარგებლოს არსებული ლიტერატურული წყაროებით, სასურველია წარმოდგენილი მასალები დასურათებული იყოს (ნახატები, ფოტოსურათები, მხატვრული ესკიზები, მაკეტები და სხვა).

ბ) მთიან რაიონებში ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება, მაგალითად, თემური წყობილების გადანაშთები (თემი, გვარი, ოჯა-

ხი, საცხოვრებელი ბინა, ციხე-კოშკები, სატრანსპორტო საშუალებები.) მოსწავლემ სისტემაში უნდა მოიყვანოს ცნობები თავისი კუთხის ყოფაცხოვრების ისტორიიდან, უნდა აღწეროს ამ მხარეში არსებული დამახასიათებელი ეთნოგრაფიული მომენტები ხალხური თქმულებათა, გადმოცემათა და არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით; სასურველია აქაც მოხსენებას დართული ჰქონდეს შესაფერი ილუსტრაციები, ნახატები, ფოტოსურათები, მაკეტები და სხვა.

გ) მოხსენებები, მაგალითად ასეთ თემებზე: საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა მე-11 და მე-12 საუკუნეებში, ქართველები პირველ სამამულო ომში; კავკასიის გმირული დაცვა და სხვა.

## 3. მათემატიკაში:

მოხსენებები შემდეგ თემებზე: ეილერის თეორემა და წესიერი მრავალწახნაგები; მრუდეების აგება ინვერსიის მეთოდით; კვადრატული განტოლების გრაფიკული ამოხსნა; ლოგარითმების ისტორია, ციფრები და ციფრული სისტემები ძველად და ახლა; ამოცანები აგებაზე, მასკერონის და შტეინერის აგებები და მიახლოებითი გამოთვლები; საკუთარი ამოცანის შედგენა და მისი ამოხსნა და სხვა.

## 4. ფიზიკაში:

ა) მოხსენებები, მაგალითად შემდეგ თემებზე; ენერგიის გარდაქმნისა და შენახვის კანონი; მზის ენერგია; ბუნებრივი და ხელოვნური რადიაქტივობა; სითბური მანქანები; ხელოვნური განათების ისტორია: დიდი რუსი გამომგონებლის პოპოვის ცხოვრება და მოღვაწეობა; ფრენის ფიზიკური საფუძვლები; ფოტოელემენტი და მისი გამოყენება; რენტგენის სხივები და მათი გამოყენება და სხვა.

ბ) თვითნაკეთი ხელსაწყოები, მაგალითად, ორთქლის მანქანის მოდელი, ჰიდროელექტრო სადგურის მომქმედი მოდელი, რომელიმე ტიპის გალვანომეტრი, მორზეს ტელეგრაფი, ელექტრომავლის მომქმედი მოდელი, ფოტოელემენტის საილუსტრაციო მოდელი და სხვა.

## 5. გეოგრაფიაში:

ა) საკუთარი მხარის (ქალაქის, ოლქის, დაბის, სოფლის) გეოგრაფიული მიმოხილვა (ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა).

ბ) საკუთარი მხარის მთამადნეული ნიმუშების შეგროვება (მოპოვების ადგილი, მნიშვნელობა და გამოყენება).

გ) ტექნიკური კულტურების ნიმუშების შეგროვება სათანადო განმარტებით.

დ) ნორჩი გეოგრაფის მოგზაურობა მახლობელ გარემოში — ღირსშესანიშნავი ობიექტის დათვალიერება: ტბა, ჩანჩქერი, მწვერვალი, მდინარის ხეობა, მოგზაურობის აღწერა.

ე) ფოლკლორული მასალების შეგროვება რაიონის მთებზე, მდინარეებზე, დასახელებულ ობიექტებზე (ხალხური ლექსები, თქმულებები, ლეგენდები და სხვა).

## 6. ქიმიაში:

ა) თემების დამუშავება ლიტერატურის წყაროების გამოყენებისა და ქიმიურ წარმოებათა ადგილზე გაცნობით. მაგალითად: ქიმია და სოფლის მეურნეობა; ფლოგისტონური თეორია; კიური სკლადოვსკაია, ქიმიის განვითარების ისტორია; რადიოაქტიური ელემენტები რაიონის ქიმიური წარმოებები (ცემენტის ქარხანა, მინის სადნობი ქარხანა, ქართველი ცნობილი ქიმიკოსები და სხვა).

ბ) თვითნაკეთი ხელსაწყოები: მარტივი ხელსაწყოები წყალბადის მისაღებად; ხელსაწყო ჟანგბადის წყალბადში დასაწვავად; ხელსაწყო წყალბადის და ჰაერის ნარევის ასაფეთქებლად; მგრგვინავი; გაზის ასაფეთქებელი ხელსაწყო; დანიელის სანათურა; მარტივი თერმოსკო. ყუთი ტინდალის მოვლენებზე დაკვირვებისათვის; ხელსაწყო ქლორის მისაღებად ამწოვი კარადის გარეშე; აზოტმჟავას მისაღები ხელსაწყო ამონიაკის დასაჟანგავად; ხელსაწყო ჰაერიდან აზოტმჟავას მისაღები ყუთი ფოსფორის განათებაზე დაკვირვებისათვის; ელექტროღუმელის მომქმედი მოდელი მეტალების მისაღებად და სხვა.

## 7. ბუნებისმეტყველებაში:

ა) ჰერბარიუმების შედგენა (რაიონისათვის დამახასიათებელი მცენარეები როგორც ველური ისე კულტურული, ადრე გაზაფხულის მცენარეები). ჰერბარიუმს თანდართული უნდა ჰქონდეს ახსნა-განმარტებანი (ადგილობრივი სახელწოდებანი, მცენარის გავრცელების ადგილი და დრო, მნიშვნელობა და გამოყენება).

ბ) შედგენა ადგილობრივად გავრცელებული სამკურნალო მცენარეების ჰერბარიუმისა, რომელსაც დართული უნდა ჰქონდეს სათანადო ახსნა განმარტებანი (ნაჩვენები უნდა იყოს ადგილობრივი სახელწოდება, გავრცელების ადგილი და დრო, გამოყენება მედიცინაში ან ადგილობრივ მკურნალობაში).

გ) მწერების კოლექციები სათანადო ახსნა-განმარტების თანდართვით (ადგილობრივი სახელწოდება, ადგილი და დრო).

დ) ადგილობრივი გავრცელებული სარეველა მცენარეების კოლექციები სათანადო ახსნა-განმარტებით.

ე) თემების დამუშავება ლიტერატურული წყაროების გამოყენებით, სხვადასხვა ცდებისა და დაკვირვებების შედეგად, მაგ. დარვინი და მისი მიღწევები, მიჩურინის, აკად. ციცინის, აკად ლისენკოს მიღწევები, პავლოვის ცდები; სინათლის გავლენა მცენარეებზე; ბაქტერიები და მათი მნიშვნელობა და სხვა.

ვ) ბუნების მოვლენებზე ფენოლოგიური დაკვირვებანი: (გაკვირტვა, შეფოთვლა, ნაყოფის მომწიფება, ფოთლების, მწერების გამოსვლა, მათი მრავალრიცხოვნება, შეფერილობა და სხვა).

გარდა აღნიშნულისა მოსწავლეს შეუძლიან დაამზადოს სხვადასხვა პრეპარატები, ფიტულები, შეაგროვოს და აღწეროს ფრინველთა ბინების და კვერცხების ტიპები, სხვადასხვა ლოკოკინები, მწერები, ბიოლოგიური კოლექციები (ე. ი. მწერი, მისი განვითარების სრული ციკლით, მაგ. კვერცხები, მატლი, ჭუპრი და საზრდო მასალა, გაფრთხილება და მფარველობით ფერზე და სხვა).

კონფერენციის ორგანიზაცია. დაუსწრებელ-სამეცნიერო კონფერენციას ხელმძღვანელობს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის მეცნიერების განყოფილება.

კონფერენციაში მონაწილეობის ყველა მსურველი განცხადებას აძლევს საგნის მასწავლებელს, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს მოსწავლის გვარი, სახელი და მამის სახელი, სკოლა, კლასი, მისამართი და არჩეული თემა, მასწავლებელი განიხილავს განცხადებას და, თუ ეს საჭიროა, შეიტანს მასში სათანადო შესწორებებს, ამის შემდეგ განცხადებები ჩაბარდება განათლების განყოფილებას, რომელიც მას გზავნის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 2) წარწერით; მოსწავლეთა დაუსწრებელ კონფერენციისათვის.

თემის დამუშავების პროცესში მოსწავლეს ყოველმხრივ ეხმარება პიონერთა სასახლის მეცნიერების განყოფილება; უთითებს დამხმარე ლიტერატურას, აძლევს მეთოდურ მითითებებს, ცალკე შემთხვევებში კი მოსწავლეებს უგზავნის საჭირო მასალებს ან წიგნებს.

ტიპიური თემების დამუშავების მეთოდიკის საკითხები სისტემატურად გაშუქდება პრესაში („სახალხო განათლება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“).

კონფერენციისათვის დამზადებულ მასალებს პირველ რიგში განიხილავს მასწავლებელი, შემდეგ კი, განათლების განყოფილებისა და კომკავშირის რაიონულ და საქალაქო კომიტეტების მიერ გამოყოფილი კომისია. კომისიის მიერ შერჩეული საუკეთესო შრომები გადმოეგზავნება პიონერთა სასახლის მეცნიერების განყოფილებას.

22/307 № 2759

შესაძლებლობის ფარგლებში სასურველია ადგილზე მოეწყოს შერჩეული მოხსენებების საჯარო წაკითხვა ავტორთა მიერ.

პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის მეცნიერების განყოფილება განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და შეარჩევს მათ შორის საუკეთესო ნაშრომებს. ეს ნაშრომები წაკითხულ იქნება სასახლეში მოსწავლეთა საჯარო შეკრებაზე. ავტორებისათვის წესდება სამი ხარისხის ჯილდო.

**კონფერენციის შედეგების განხილვა.** სასახლეში განცხადებათა გადმოგზავნის უკანასკნელი ვადა არის 1947 წ. 15 მარტი ნაშრომების გადმოგზავნის უკანასკნელ ვადად კი დაწესებულია 1947 წლის 15 მაისი გარდა ბუნებისმეტყველების დარგის ნაშრომებისა, რომლებისთვისაც უკანასკნელ ვადად წესდება 1947 წ. სექტემბერი. 1 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე პიონერთა სასახლეში ჩატარდება შემაჯამებული საჯარო სხდომები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1946 წ. 3 დეკემბრის დადგენილება.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ბურჭულაძე

შეკვეთა № 28 ტირაჟი 2000 01292 უე

ამხ. ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.